პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. ც. პ.

ცენტრ. და თბილისის კომიტეტების და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—3 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 სარ. №

ფასი 10,000 მან. პროვინციაში 12,000 მან.

№ 93 პარასკევი, 28 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 28 აპრილი 1922 წ. № 93

ცირკულიარულად № 128.

## ყველა სამაზრო და სამაზრო კომიტეტებს

მეირფასო ამხანაგებო!

უკანასკნელ დროს ც. კ.-ში ჩამოდიან ამხანაგები, რომელთაც სურთ რესპუბლიკის საზღვრებიდან გასვლა ან ცენტრში მოწყობა, ც. კ. გაცნობებთ, რომ შემდეგში არც ერთი ც. კ. ს.-ს სანქციის გარეშე ჩამოსული ამხანაგი მიღებული არ იქნება და დაუყონებლივ წინადადება მიეცემა უკან დაბრუნებისა მათ გამომგზავნ ორგანიზაციების ხარჯზე. აუცილებლად საჭიროა ც. კ.-ს სანქციის გამოთხოვნა დასაბუთებულ განცხადების გამოგზავნით, ამა თუ იმ ამხანაგის გადაყვანის მიზეზების აღნიშვნით საოლქო ან სამაზრო კომიტეტის მდივნის დასკვნითურთ, და აგრეთვე მივლინებულ ამხანაგის მოკლე დახასიათებით. ც. კ.-ში უშუალო მივლინება ც. კ.-ს გამოუწვევლად ან წინასწარ თანხმობის მიუღებლად დაშვებული იქნება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, საოლქო ან სამაზრო კომიტეტის მდივნის პირად პასუხისმგებლობის ქვეშ თანხლებულ მომართვაში ამ ცირკულიარის დარღვევის მიტოვების აღნიშვნით. საოლქო და სამაზრო კომიტეტები ვალდებულნი არიან გააცნონ ეს ცირკულიარი მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს.

ც. კ. მდივანი **ხაბაშვილი.**

აღმრიცხ.-განმანაწილებელ განყ. გამგე **ლიცინოვი.**

ცირკულიარულად № 129.

## ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

მეირფასო ამხანაგებო!

ც. კ.-ში განაგრძობენ ამხანაგები ჩამოსვლას, როგორც მივლინებულნი და შვებულებაში მყოფნი, ისე ავადმყოფობის გამოც, რომელნიც თხოვნით მოგვმართავენ დახმარებას და საგზაო ფულის მიცემის შესახებ. საქართველოს კ. პ. ც. კ. გაცნობებთ, რომ ყველა მივლინებული და შვებულებაში მყოფი ამხანაგები დღიურ და საგზაო ფულებით დაკმაყოფილებული უნდა იქმნენ მათი გამომგზავნი ორგანიზაციების მიერ, ავადმყოფი ამხანაგები კი უნდა იგზავნებოდნენ უშუალოთ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში ადგილობრივ ჯანმრთელობის განყოფილებათა საშუალებით. ც. კ. შემდეგში არავითარ ფულით დახმარებას არ გაუწევს ასეთ ამხანაგებს.

ც. კ. მდივანი **ხაბაშვილი.**

აღმრიცხ. განმანაწილებელ განყ. გამგე **ლიცინოვი.**

შაბათს 29 აპრილს, საღამოს 6 საათზე ყოფილ ქალაქის გამგეობის შენობაში შესდგება

## თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

**დღის წეს-რიგი:** 1) მოხსენება საფილტრაციო-განმტვირთავ კომისიის მუშაობის შესახებ, 2) ფუთობრივ და საავადმყოფო გადასახადის შესახებ, 3) ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება მალარიასა და სხვა ეპიდემიურ ავადმყოფობებთან ბრძოლის შესახებ, 4) წყალსადენის, ელექტრო-სადგურების და ტრამვაის საწარმოვო განყოფილების მუშაობის გეგმა, 5) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატების გამოცხადება სავალდებულოა.

**პრეზიდიუმი.**

(1—1)

## პირველი მაისისათვის

ახლოვდება დიადი დღე შრომის საერთაშორისო დღესასწაულისა, პირველი მაისი. განსაკუთრებულ პირობებში შეხვდება მას წელს პროლეტარიატი ბურჟუაზიული ქვეყნების, არა ჩვეულებრივ მნიშვნელობას იძენს ის საბჭოთა რესპუბლიკებისათვისაც.

პირველი მაისი თავისი იდეით იყო დღე საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის, დემონსტრაცია მისი საერთო კლასიური მიზნების. ის შესაძლებელია მხოლოდ იქ და მაშინ, სად და როდესაც ყველა ქვეყნის და ყველა ერის პროლეტარიატი საერთო მიზნებითაა ამოძრავებული და მათით სულდგმულობს. ერთნაირი კლასიური მდგომარეობა სხვა და სხვა ერის პროლეტარიატის, ჰქმნის რა უცილებელ წინასწარ პირობებს მისი საერთაშორისო სოლიდარობისთვის, აყენებს რა მას ანტაგონისტური კლასის წინააღმდეგ დარაზმვის ფართო გზაზე, არის იმავე დროს ნიადაგი პირველი მაისის დღესასწაულისათვის. მაგრამ მარტო ობიექტიური პირობები არ კმარა, რათა შრომის დღესასწაულმა ჰპოვოს თავის არსის სრული გამოაშკარავება. საჭიროა შეგნება თავისი მდგომარეობის. პროლეტარიატი, იდეოლოგიურათ დამონებული ნაციონალური ბურჟუაზიის მიერ, სწყვეტს თავის კლასიური სოლიდარობის კავშირს სხვა ერის შრომის არმიასთან. ბუნებრივია ამიტომ, ე. ი. გასაგებია მხოლოდ ამ აზრით ის საშინელი დამარცხება პირველი მაისის, რომელიც განიცადა ამ დიადმა დღესასწაულმა განსაკუთრებით მსოფლიო ომის დროს, როდესაც პროლეტარიატმა, ტყვეთ ჩავარდნილმა „თავისი“ ნაციონალური ბურჟუაზიის ხელში თავისივე ბელადების ლოცვა კურთხევით, განიცადა პირველი უუდიდესი დამარცხება და ეროვნული კაპიტალის საკუთილდღეოთ შესია ქვეყნის საზღვრის ხაზს იქით მოქცეულ თავის მსგავს შრომის წარმომადგენელს ამოსაჟლეტათ. დამარცხდა დროებით საერთაშორისო სოლიდარობა პროლეტარიატის და მასთან ერთად მისი დიადი კლასიური დღესასწაულიც.

საერთაშორისო ხოცვა ჟლეტის შემდეგ და განსაკუთრებით დღეს პირველი მაისის დღესასწაული ტარდება არსებითად სხვა პირობებში. ომის დროის „სამოქალაქო ზავმა“ სოციალურათ ანტაგონისტურ კლასთა შორის, ადგილი დაუთმო სამოქალაქო ომის მდგომარეობას და კლასთა შორის გაალმასებულ ბრძოლის პირობებს. მიუხედავათ მუშათა ოპორტიუნისტული ბელადების ცდისა, დღევანდელ „მშვიდობიან“ ხანაშიაც გადმოეტანათ ტრადიცია ცნობილი „სამოქალაქო ზავის“ და ამნაირათ გაემუდმივებიათ, ყოველ შემთხვევაში, გაეხანგრძლივებიათ ის, ჩვენ ვხედავთ კლასთა წინააღმდეგობათა სრულ გაშიშვლებას ყველა ქვეყნებში. ომის დროის „სოლიდარობა“ სოციალურ მტერთა შორის შეიცვალა, „სამოქალაქო ზავის“ ზღაპარი დათავდა „ვითა სიზმარი ღამისა“. მთელ ხაზზე შეტევაზე გადმოსული კაპიტალი ბუნებრივი აუცილებლობით რაზმავს ბარიკადების ჩვენ მხარეზე შრომის არმიის მილიონებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში. სწარმოებს ბრძოლა ეკონომიური, პოლიტიკური და ხშირად შედის აქა-იქ ძალაში. ომის მიერ დამსხვრეული ნაწილები მუშათა ინტერნაციონალის, რომლებიც არსებობენ დღეს ორგანიზაციულათ და იდეოლოგიურათ გათიშულნი, თანდათან ჰპოულობენ საერთო ენას, რასაკვირველია, პროლეტარიატის მოთხოვნილებათა აუცილებელი მინიმუმის პლატფორმაზე. ამ ნიადაგზე მოხდა აგერ წინაზე შეთანხმება სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე ბერლინში. მიუხედავათ წინააღმდეგობისა, რომელსაც უწევდნენ ამ შეთანხმებას ყვითელი მეორე და მეორე ნახევარი ინტერნაციონალის მეთაურები, კაპიტალთან ბრძოლაში ჩაბმული პროლეტარიატის სულისკვეთებამ და ერთიანი ფრონტისკენ ურყევმა ლტოლვამ შერეკა ეს მეთაურები ამ შეთანხმების გზაზე და აიძულა ისინი სოლიდარულ გამოსვლებზე კომინტერთან ერთად.

ასეთ რამოდენიმეთ გაერთიანებული მუშათა ფრონტის პირობებში ვეგებებით წელს პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულს და ამაშია თავისებურება მომავალი პირველი მაისის დღის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა ვალდებულება აიღეს თავის თავზე შეთანხმებულათ გამოსვლის ოც აპრილისთვის ან თუ ეს არ მოხერხდებოდა ტეხნიკურად—პირველ მაისს. ლოზუნგები იყო: კაპიტალის წინააღმდეგ მუშათა საერთო მოთხოვნილებისათვის და მათ შორის საბჭოთა რესპუბლიკების მხარის დაჭერა. ამნაირათ წლევანდელი პირველი მაისი იქნება ყველგან არა მარტო ტრადიციული დათვალიერება ძალების, არამედ ის უნდა ჩატარდეს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის **ერთიანი ფრონტის ნიშან ქვეშ.**

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ ერთიან ფრონტს, მიუხედავათ ბერლინში მიღწეული შეთანხმებისა, ყავს მტრები, რომლებიც შეეცდებიან მის დარღვევას, ესენი არიან ყვითელი ინტერნაციონალის ბელადები და ის სექციები, რომლებიც მათი გავლენის ქვეშ არიან. ეს არა მარტო იმ ქვეყნებში, რომლის სათავეში დგას ბურჟუაზია, არამედ საბჭოთა რესპუბლიკებშიაც და სხვათა შორის ჩვენშიაც. კერძოთ ქართველი მენშევიკები დღემდი ვერ შერიგებიან იმ მდგომარეობას, რომ იმპერიალისტური ქარის ქროლა შესწყდა საქართველოში და მსოფლიო კაპიტალის აგენტურა, რომელსაც წარმოადგენდა ფაქტიურათ მათი პარტია და მთავრობა, ჩვენი ქვეყნის ვითომდა დამოუკიდებლობის სამოსელში გამოხვეული, დაინგრა, საქართველოს ნიადაგიდან აღიგავა, შედეგათ დიდი ოქტომბრის რევოლიუციის განვითარებისა კავკასიონის სამხრეთითაც. ამ პარტიის „სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა“ და ბელადების ნაბიჯები ევროპაში, როგორც ბერლინის კონფერენციაზე ისე გენუაში, დამარცხებით გათავდა, მათ ვერ გამოიღეს ნაყოფი, რომელსაც ისინი ელოდნენ. დღეს ეს პარტია, უკეთესათ რომ ვთქვათ, მისი აქა-იქ გაფანტული ნამსხვრევები ავანტიურის გზაზე არის შემდგარი და შემთხვევას არ უშვებს თავის „არსებობის“ შესახებ მოაგონოს მათ, ვისაც ეს ესაჭიროება „მაღალი პოლიტიკის“ მოსაზრებით. ასეთი იყო მათი ცდა წარსულში. ასეთსავე შესაძლებლობას ეპოტინებიან ისინი პირველი მაისისათვისაც წელს, რათა ცალკე გამოსვლით დაარღვიონ ერთიანი ფრონტი მშრომელების დღესასწაულის ნორმალური მიმდინარეობის, ოღონდ „ხმაურობა“ ატეხონ პარტიული კაპიტალის შესაძენათ. ასეთია ამ ვაჟბატონების მიზანი.

მაგრამ აშკარაა, რომ მათი ცდა დაილეწება ჩვენი მშრომელების, და კომპარტიის ურყევ ნებისყოფაზე ისევე, როგორც ეს არა ერთხელ უგემიათ მათ ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

მწყობრი რიგებით პირველ მაისის სადღესასწაულოთ და ყოველგვარი პროვოკაციის წინააღმდეგ—აი როგორ უპასუხებს მათ საქართველოს მუშათა კლასი.

# გენუის კონფერენცია

**პოლიტიკურ კომისიაში.**

**ნაუენი,** 26 აპრილი (გერმანული რადიო). რუსეთის დელეგაციამ შეიტანა პოლიტიკურ კომისიაში ახალი წინადადება. დელეგაცია აღნიშნავს რუსეთისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის აუცილებლობას, რათა შესაძლებელი გახდეს ვალების დაფარვა. გარდა ამისა დელეგაცია მოითხოვს საბჭოთა მთავრობის ცნობას. ამის სამაგიეროდ იგი პირდება ზოგიერთ დათმობას უცხოელთა ქონების საკითხში. იმ დელეგატების წარმომადგენლებმა, რომელნიც დაესწრნენ პოლიტიკურ კომისიის სხდომას, განაცხადეს, რომ მათ რუსეთის წინადადების შინაარსი უნდა შეატყობინონ თავიანთ მთავრობას. ამის გამო პოლიტიკურ კომისიის მუშაობა დროებით შეწყვეტილია.

**საბჭოთა კლდე.**

**ბერლინი,** 26 აპრილი (გერმანული რადიო). პოლიტიკურ კომისიის სხდომაზე ჩიჩერინმა განაცხადა, თუ შესაძლებელი იქნება „სხვადასხვა“ საკითხების შესახებ მოლაპარაკების წარმოება და თუ ეს საკითხები შეიძლება ასე თუ ისე გადაწყდეს, ყოველ შემთხვევაში ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყოფილ მესაკუთრეთათვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი, წარმოადგენს იმ კლდეს, რომელზედაც დაიმსხვრევა ყველა მოლაპარაკებანი. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია მოითმინოს სხვა ხელისუფლების არსებობა მისი მსვლელობის გზაზე. რუსეთის ხალხი არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდება ერთი ნაბიჯითაც უკან დაიხიოს თავის სოციალისტურ სისტემაში, ამის გამო რუსეთს არ შეუძლია ძველ მესაკუთრეთ დაუბრუნოს მათი უფლებები.

**სხვადასხვა განმარტება.**

**ბორდო,** 26 აპრილი (ფრანგული რადიო). სამშაბათს 25 აპრილს გაიმართა ექსპერტების სხდომა ევანსის თავმჯდომარეობით. სხდომას არ დასწრებიან რუსეთის დელეგატები. ამ სხდომაზე შემუშავებულ იქნა რუსეთის საკითხების შესახებ არსებული კომისიის ნოტა, რომელშიც აღნიშნულია ის დაბრკოლებანი, რომელნიც არსებობენ ამა თუ იმ საკითხის ეადწყვეტაში, რადგანაც რუსები მას სხვაგვარად ხატავენ.

**პარიზის ინსტრუქციები.**

**პარიზი.** 26 აპრილი, (ფრანგული რადიო). მართლდება ის ხმები, რომ ბარტუმ წინადადება მისცა რუსეთის საკითხების შესახებ არსებულ კომისიის საფრანგეთის წარმომადგენელს სეიდუს, უარი განაცხადოს კომისიაში მონაწილეობის მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მემორანდუმის განხილვა წინააღმდეგი იქნება პარიზის ინსტრუქციებისა.

**რუსეთის მემორანდუმისადმი დამოკიდებულება.**

**გენუა.** 24 აპრილი, (იტალიის რადიო) 24 აპრილს დილით მეფის სასახლეში გაიმართა სხდომა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა, რომელთაც ხელი მოაწერეს გერმანიის დელეგაციის ნოტას და აგრეთვე ზოგიერთ ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა. ირჩეოდა საკითხი რუსეთის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ მემორანდუმისადმი დამოკიდებულებისა. კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ ეს მემორანდუმი ჩასთვალონ ისეთად, თუ გინდ იგი არც კი არსებობდეს. ექსპერტების კომისია მომავალში გაარჩევს მხოლოდ ოფიციალურ პასუხს რუსეთის დელეგაციისას.

**რუსეთის აღდგენისათვის.**

**ბორდო.** 26 აპრილი, (ფრანგული რადიო). ბარტუს ქონდა თათბირი დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის მინისტრ ნანმანთან რუსეთის აღდგენის საშუალებათა შესახებ.

**ამერიკის მოთხოვნილებანი.**

**ნაუენი.** 26 აპრილი, (გერმანიის რადიო). ამერიკის ელჩმა ჩაილდმა, ამერიკის სახელით ოფიციალურად წარადგინა უფლებანი შეერთებული შტატებისა რუსეთისგან ამერიკის ვალების გადახდის შესახებ.

**უნდა მოვიცადოთ.**

**ნაუენი.** 26 აპრილი, (გერმანული რადიო). გენუაში ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება ნაწილობრივ დამთავრდება მომავალ კვირაში, მას შემდეგ, რაც მოხდება შეთანხმება იმ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფენ ევროპის მშვიდობიანობას ათი (10) წლით.

**გარანტიების ხელშეკრულება.**

**რომი.** 26 აპრილი, (იტალიის რადიო). ბარტუს ხანგრძლივი თათბირი ქონდა ლოიდ-ჯორჯთან სახელმწიფოთა შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების თაობაზე. ამ ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს ევროპის მშვიდობიანობა 10 წლის ვადით.

**ჯიოვანის რეაბილიტაცია.**

**გენუა.** 5 აპრილი. (იტალიის რადიო). სტეფანის სააგენტოს ცნობებიდან სჩანს, რომ ბევრი უცხოელი გაზეთები და ზოგიერთი იტალიელი გაზეთებიც განაგრძობენ იმ ინციდენტის განხილვას, რომელიც თითქოს მოუხდა იტალიის დელეგაციის წევრს გენუაში ფრანჩესკო ჯიოვანის. გაზეთების ცნობით ჯიოვანის ბრალს სდებენ იმაში, რომ მან მისცა საბუთი გერმანიის დელეგაციას ეფიქრა, რომ მოკავშირენი მზად არიან შეკრან ხელშეკრულება რუსეთთან და რომ სწორედ ამ გარემოებამ აიძულა გერმანელები შეეკრათ რაპალოში ხელშეკრულება რუსეთთან. ყველა ეს ცნობები უარყოფილ იქნა გუშინდელ სხდომაზე ინგლისელ დელეგატებისა და იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ. გამოირკვა, რომ ფრანჩესკო ჯიოვანის დავალებული ქონდა ეცნობებია გერმანიის დელეგაციისათვის მოკავშირეთა და რუსებს შორის წარმოებული მოლაპარაკების მსვლელობა, რაც მან შეასრულა მისთვის ჩვეულებრივი სისწორითა და სინამდვილით.

**საერთაშორისო ვაჭრობის აღდგენა.**

**გენუა.** 25 აპრილი. (იტალიის რადიო). ეკონომიური კომისიის პირველი ქვეკომისიის სხდომა გაიმართა კოლრატის თავმჯდომარეობით. ქვეკომისიამ მიიღო ექსპერტების კომისიის მიერ წარმოდგენილი ტექსტი ლონდონის მოხსენების მე-45-49 მუხლების შეცვლის შესახებ. სარედაქციო კომისიას გადაეცა ლონდონის მოხსენების მე 41 მუხლი, რომელიც ეხება პორტე-როზეში ხელმოწერილ ოქმს. 25 აპრილისათვის დანიშნულია საბაჟო ტარიფების განხილვა. უკანასკნელი ტექსტი, რომელმაც უნდა შეცვალოს მე-46 და 49 მუხლები შემდეგია: 1. როგორიც არ უნდა იყოს ფინანსიური და ეკონომიური ხასიათის მოსაზრებები, რომელსაც წამოაყენებს ესა თუ ის სახელმწიფო განსაკუთრებული პირობების არსებობის დასამტკიცებლად, რომელიც იწვევს ძალაში დატოვებას, ან ხელახლათ შემოღებას საქონლის შემოტანა გატანის აკრძალვასა ან შემცირებას, ცნობილია, რომ ეს ზომები წარმოადგენენ ერთ-ერთ ფრიად სერიოზულ იმ დაბრკოლებათაგანს, რომელიც დღეს დღეობით ხელს უშლის საერთაშორისო ვაჭრობის წარმოებას. ამიტომ აუცილებელ საჭიროდ უნდა იქნეს ცნობილი არ დაიშურონ არავითარი ზომები, რათა ამ უახლოეს ხანაში აუცილებელ მინიმუმამდის იქნეს დაყვანილი ყველა გამონაკლისები ამ პრინციპებიდან და კერძოთ, მონოპოლია გამოცხადებულ საქონლების მიმართ და აგრეთვე „აუცილებელი შემთხვევები“. ამ „აუცილებელ შემთხვევებში“ უნდა ვიგულისხმოდ სახალხო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, კეთილ-სინდისიერებისა და ხაზოგადოებრივი მშვიდობიანობის შენარჩუნება, საქონლისა და მცენარეულობის დაცვა და ბრძოლა ეპიდემიასთან. მაგრამ როგორიც არ უნდა იყვეს მოტივები საქონლის შემოტან-გატანის შემკვრებისა, რომელიც ხორციელდება აკრძალვის სისტემის მეოხებით, რაიც აბრკოლებს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოებას მიზანშეწონილად უნდა იქნეს ცნობილი ამ აკრძალვით გამოწვეული უხერხულობანი და დაბრკოლებანი, დავიყვანოთ მინიმუმამდე იმ გვარი დადგენილებების წყალობით, რომელიც შეძლებას მისცემდა საქმის ხალხს წინდაწინ დაუბრკოლებლივ გამოერკვია ის პირობები, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება შემოტანა-გატანის აკრძალვა. 2. ზემოხსენებული გარემოების გამო დადგენილ იქნა, რომ ის პირობები, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება ასეთი აკრძალვა, ნათლად იქნეს ჩამოყალიბებული და გამოქვეყნებული და იმ გვარად, რომ ყველა აკრძალვანი დაწესებულ იქნენ რამდენადაც შესაძლებელია უბრალო და მტკიცე საშუალებებით. ამასთან ერთად მიღებულ უნდა იქნეს ზომები რათა თხოვნები აკრძალვის შესახებ, რომელიც გაეგზავნება სათანადო ხელისუფლებათ ან კომპეტენტურ ორგანოებს განხილულ იქნენ დაჩქარებით და სასწრაფოდ.

**სენსაცია გენუაში.**

**ბერლინი** 26 აპრილი (გერმანიის რადიო). პუანკარეს მიერ ბარ-დელიუკში უკასასკნელად წარმოთქმულმა სიტყვამ გენუაში სენსაცია მოახდინა. საერთო აზრი ისეთია, რომ იმ ამბებს, რომელიც კონფერენციის კედლების გარეშე ხდება, აქვს უეჭველად დამუქრების ხასიათი, რაც ცხადია გავლენას იქონიებს კონფერენციის მუშაობის მსვლელობაზე.

**9 სახელმწიფოთა ნოტა.**

**გენუა.** 25 აპრილი (იტალიის რადიო) იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კრებაზე, რომელთაც ხელი მოაწერეს გერმანიის დელეგაციისათვის საპასუხო ნოტას, გარჩეულ იქნა ინგლისელების პროექტი ნოტისა, რომელიც უნდა გადაეცეს გერმანიის დელეგაციას მისი 21 აპრილის ნოტის საპასუხოდ. მცირე კამათის შემდეგ და ფრანგებისა და ინგლისელების დელეგაციების მცირეოდენი შესწორების შემდგომ პროექტი ნოტისა მიღებულ იქნა.

**გერმანიის პასუხის გამო.**

**ვარშავა,** 24 აპრილი (რადიო მოსკოვით). გერმანიის პასუხის შესახებ დისკუსიის დროს ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: „თუ ინგლისი დარწმუნდება, რომ ზოგიერთი მისი მეგობრები ცდილობენ ევროპის მშვიდობიანობის დარღვევას, ის დაიწყებს შეთანხმების ძებნას ყველა მათთან, ვინც გულწრფელად გამსჭვალულია მშვიდობიანობისადმი მისწრაფებით. თუ კონფლიქტი გაგრძელდება, ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მეტად აღელვებულია კონფერენციის უკანასკნელი ინციდენტებით, აიძულებს ინგლისის მთავრობას გადასინჯოს თავისი პოზიცია“.

ბარტუმ განაცხადა, რომ საფრანგეთი აგრეთვე განწყობილია მშვიდობიანად.

**პუანკარეს გამგზავრება გენუაში.**

**ვარშავა.** 24 აპრილი. (რადიო). (მოსკოვით) გაზ. „რეჩ პოსპოლიტა“ იტყობინება, რომ საფრანგეთის კაბინეტის უკანასკნელ სხდომაზე ირჩეოდა პუანკარეს გამგზავრების საკითხი გენუაში კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაციისათვის პირადად ხელმძღვანელობის გასაწევად.

**ბალტიის გაერთიანებული სახელმწიფოები.**

**ჰელსინგფორსი.** 24 აპრილი. (რადიო). (მოსკოვით) გაზეთი „ხუვუსტადბლადეტ“ იტყობინება, რომ პოლონეთი, ფინეთი, ესტონეთი და ლატვია გამოდიან გენუაში როგორც ბალტიის მხარის გაერთიანებული სახელმწიფოები, რომლის პროგრამაშიც ოფიციალურად შეტანილია რუსეთის დე-იურედ ცნობა. გაერთიანებული სახელმწიფოების წევრები გავლენას ახდენენ პოლონეთზე იმ მიზნით, რომ აიძულონ ის უარი სთქვას რუსეთთან დადებულ საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილიდან, რომლის ძალითაც მან მიიღო თავის თავზე რუსეთის ვალების გადახდაში მონაწილეობის მიღება. თუ ბალტიის მხარის სახელმწიფოებს მაინც მოუხდებათ გადახდაში მონაწილეობის მიღება, მაშინ ისინი მოითხოვენ სათანადო კომპენსაციებს.

**პუანკარეს სიტყვა.**

**მოსკოვი.** 27 აპრილი, რადიო. პუანკარემ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიდაც განაცხადა, რომ საფრანგეთი განაგრძობს კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას, თუ გერმანიასთან და რუსეთთან რაიმე დათმობაზე არ წავლენ. საფრანგეთმა გადასწყვიტა დასტოვოს ძალაში ვერსალის ხელშეკრულება და დაბეჯითებით მოითხოვს შემდეგშიაც რეპარაციების გადახდას იმ შემთხვევაში, თუ გერმანია არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, და არ მოხერხდა მოკავშირეების შეთანხმება, საფრანგეთი გამოვა დამოუკიდებლად. საფრანგეთი არ იტყვის უარს ვერსალის ხელშეკრულების არც ერთ პირობაზე. პუანკარეს სიტყვის უმეტესი ნაწილი ეხებოდა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას. პუანკარემ განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება შეიძლება საშიში გახდეს პოლონეთის და საფრანგეთისთვის. აუცილებლად საჭიროა, რომ მოკავშირეებმა გადახედონ ხელშეკრულების მიერ, შექმნილ ახალ ფაქტორებს, რომელნიც წარმოადგენენ საფრთხეს ევროპისათვის და ქმნის გერმანიის მხრივ რევანშის შესაძლებლობას. რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების გამო საფრანგეთს არ შეუძლია თავისი ჯარის რიცხვის შემცირება.

# 1 მაისის დღესასწაული

**მოსკოვი** 27 აპრილი (რადიო) სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების საბჭო წინადადებას აძლევს ყველა პროფ ორგანოებს 1 მაისის დღესასწაულისათვის იხელმძღვანელონ შემდეგი ლოზუნგებით: 1. საერთაშორისო ბურჟუაზია ირაზმება ახალი შემოტევისათვის. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა — მჭიდროთ შეაკავშირეთ თქვენი რაზმები მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის განსამტკიცებლად. 2. კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ წითელ პროფესიონალურ ინტერნაციონალს გამარჯვებისკენ მიყავს მუშათა კლასი. 3. საერთაშორისო კაპიტალი ამზადებს ახალ ომს—პროლეტარიატი ამაზე საერთაშორისო რევოლიუციით უპასუხებს. 4. საბჭოთა რუსეთის ყველაზე უფრო საშინელი მტერი სიმშილობაა, ყველაფერი სიმშილობასთან ბრძოლისათვის. 5. წითელი არმია—აჯანყებულ რევოლიოციონურ შრომის არმიაა. მშრომელნო გაუფრთხილდით თქვენ არმიას. 6. 1 მაისი—საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ ძალების დათვალიერებაა.

რუსეთის წითელი პროფესიონალური კავშირები ამ დათვალიერების დროს პირველ რიგებში იქნებიან. 7. ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალი გენუაში ბურჟუაზიის დერეფანში და წინა კარებშია ატუზული. რევოლიუციონურ მუშებს საბჭოთა დელეგაციის სახით მაღლა უჭირავს პროლეტარული დროშა. 8. მუშათა და გლეხთა კავშირი—საბჭოთა რუსეთის ძალაა. განვამტკიცოთ უფრო ძლიერად ჩვენი შრომის კავშირი. 9. ერთად-ერთი ძალად, რომელსაც შეუძლია აღადგინოს რუსეთის მეურნეობა, ისევ ძველებურად, მუშათა კლასი რჩება. ყველა ძალები გაპარტახების საწინააღმდეგოთ საბრძოლველად 10. მუშებო, უფრო მჭიდროთ დაირაზმეთ თქვენ პროფესიონალურ კავშირების გარშემო.

# რადიო-დეპეშები

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**მოსკოვის საბჭოს პლენუმში.**

**მოსკოვი, 27 აპრ. რადიო.** 25 აპრილს გაიმართა მოსკოვის საბჭოს პლენუმის სხდომა. დღის წესრიგში პირველ საკითხად დასმულია მოხსენება მოსკოვის საბჭოს მიერ საზღვარგარეთ გაგზავნილ დელეგაციის შესახებ მოსკოვის მუშებისათვის პურის შესასყიდად. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სავაჭრო დელეგაციის მეოხებით ლონდონში შესყიდულ იქმნა ჩრდილო და სამხრეთ-ამერიკაში დაახლოვებით 4 მილიონი ფუთი პური. ხორბალი ნაყიდია საშუალოდ 2 მანეთად. ეს პური საკმარისი იქნება ახალი მოსავლის სასურსათო გადა- [illegible] ნეო იარაღები, შეკერილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელები. ამ ჟამად ამ კავშირთან სწარმოებს ოფიციალური მოლაპარაკება. დელეგაცია პურის შესყიდვასთან ერთად ასრულებდა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის სხვა დავალებასაც, რომელსაც კავშირი ჰქონდა მოსკოვის კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების პროექტთან. დელეგაციამ გამოარკვია, რომ დასავლეთ-ევროპის სავაჭრო-სამრეწველო წრეები სიხარულით ეგებებიან საბჭოთა რუსეთის წინადადებებს და მზად არიან დაიჭირონ მასთან კომერციული ხასიათის დამოკიდებულება. განსაკუთრებით დააინტერესა დასავლეთ ევროპის კაპიტალი ჩვენმა წინადადებამ შეუერთოდ მოსკოვი ვოლგას, რათა უზრუნველვყოთ წითელი სატახტო ქალაქი პურითა და ნავთით. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმი იწონებს პურის შესყიდვას და აგრეთვე იმ ზომებს, რომელნიც დაკავშირე- [illegible] ჩვენი დელეგაცია სცდილობდეს ისეთი შეთანხმების მოხდენას, რომელიც უზრუნველყოფდა საბჭოთა რუსეთისათვის მშვიდობიანობას და მისი სამეურნეო ცხოვრების აღდგენას.

## კაპიტალიზმის სამეფოებში

### საფრანგეთი და გერმანია.

**მეორე ულტიმატუმი გერმანიას.**

**ნაუენი, 26 აპრილი** (გერმანიის რადიო). გერმანიის პრესა გაცხოველებულ კომენტარიებს უკეთებს პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას, წარმოთქმულს ბარ-ლე-დიუკში. გერმანული გაზეთები უწოდებენ ამ სიტყვას გერმანიისადმი მიმართულ მეორე ულტიმატუმს. პუანკარემ თავისი სიტყვით საგრძნობლად გაართულა ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა.

**რურის აუზი.**

**ბერლინი, 26 აპრილი** (გერმანიის რადიო). „დეილი ნიუზ"-ის ცნობით, დიდიბრიტანეთი უარს იტყვის საფრანგეთისთვის დახმარებაზე რურის აუზის ოკუპაციის საქმეში. ამრიგად საფრანგეთი რჩება მორალურად განმარტოებული.

**ინგლისის ზურგს უკან.**

**ბერლინი, 26 აპრილი** (გერმანიის რადიო). „დეილი ქრონიკლი" აცხადებს, რომ საფრანგეთი, როგორც ფრანკფურტის ინციდენტებში, ისე ანგორასთან მოლაპარაკებაში მოქმედებდა ინგლისის ზურგს უკან. თუ საფრანგეთი მიმართავს გერმანიის მხრით ასეთსავე მოქმედებას, ინგლისი უარს იტყვის საფრანგეთთან შემდეგ თანამშრომლობაზე.

**პროტესტი პუანკარეს წინააღმდეგ.**

**ნაუენი, 26 აპრილი** (გერმანული რადიო). მთელი გერმანული პრესა, დაწყებული კომუნისტურიდან, ვიდრე კონსერვატიულამდე, პროტესტს აცხადებს პუანკარეს სიტყვის წინააღმდეგ, რომელიც გაზეთების სიტყვით წარმოადგენს არა თუ დაუფარავ ომის მუქარას გერმანიასთან, არამედ [illegible] არა აქვს უფლება განცალკევებით მიიღოს გერმანიის მიმართ იძულებითი ზომები.

### პუანკარეს განცხადება.

**პარიზი, 25 აპრ. რადიო.** პუანკარემ ბარ-დე-ლოუკში წარმოთქმულ სიტყვაში დაახასიათა იმ მდგომარეობა, რომელიც შექმნილია საფრანგეთში ვერსალის ხელშეკრულობის შემდეგ. პუანკარემ აღნიშნა, რომ თავის დროზე გადაწყვეტილ იყო დაეტოვებიათ გამარჯვებულ სახელმწიფოთა ანგარიშზე ყველა სახედრო ხარჯები. რაიცა შეეხება გერმანიის მიერ მიყენებულ ზარალს და პენსიებს, ეს უკანაკნელნი შეტანილია გერმანიის პასივში. გადაწყვეტილი იყო გერმანიის განიარაღება. ვერსალის ხელშეკრულების ეს მუხლები რომ რეგულიარულად სრულღებოდეს საფრანგეთი დაკმაყოფილებული იქნებოდა. არცერთ საფრანგეთის პოლიტიკოსს არ აქვს უაზრო პრეტენზიები დაავალოს საფრანგეთს სხვა სახელმწიფოთა კონტროლის ფუნქციები. მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახა, რომ მხოლოდ წინდახედულებასა და პირდაპირობას შეუძლია მიგვიყვანოს გარკვეულ შედეგებამდის. გერმანიაში ამ ჟამად ისეთი მდგომარეობა არის, რომ პანგერმანისტებს თითქოს აქვთ საშუალება ადრე თუ გვიან მოამზადონ აფეთქება და ძალით დაიჭირონ ის ადგილები, რომელიც ჩამოცილდათ მათ ვერსალის ხელშეკრულებით და კერძოთ კი პოლონეთისათვის გადაცემული ადგილები.

საფრანგეთს, აცხადებს პუანკარე, გულით სურს განიარაღება, მაგრამ იგი უცდის, რომ პირველ ყოვლისა მართლაც განიარაღდეს გერმანია. შეეხო რა შემდეგ საკონტრობუციო პრობლემას, პუანკარემ პირდაპირ განაცხადა, რომ გერმანია 31 მაისამდის ვალდებულია შემოიღოს ახალი გადასახადები და მიიღოს საკავშირო კონტროლი თავის ფინანსებზე. იმ შემთხვევაში თუ გერმანია წინააღმდეგობას დაიწყებს ან და საკონტრიბუციო კომისია დაამტკიცებს, რომ გერმანიის წინააღმდეგობას არა აქვს სერიოზული მიზეზები, მოკავშირენი საერთო თანხმობით მოვალენი იქნებიან მიიღონ ყველა სათანადო ზომები. პუანკარემ ამასთან ერთად აღნიშ- [illegible]

### შორეულ აღმოსავლეთში

**მოსკოვი. 26 აპრილი, (რადიო).** (დასაწყისი არ არის მიღებული)... იაპონიის ჯარების ევაკუაციის შესახებ. იაპონიის დელეგაციამ განაცხადა, რომ შემუშავებული პირობები ხელშეკრულებისა მისთვის მისაღებია. იგი უცდის მხოლოდ თავისი მთავრობის სანქციას. უთანხმოება გამოიწვია მხოლოდ ხელშეკრულების იაპონიის ტექსტის ერთმა მუხლმა, რომლითაც იაპონელები იტოვებდენ უფლებას ევაკუაციის დროს გაენადგურებიათ ყველა სამხედრო ქონება. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დელეგატებმა უარყვეს ეს წინადადება. ამ პუნქტის გარშემო კამათი გაგრძელდა 15 აპრილამდის. ამ ხნის განმავლობაში გამოირკვა, რომ იაპონიაში სწარმოებს ცხარე ბრძოლა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკებთან შეთანხმების მომხრეთა და მილიტარისტთა შორის. ამ უკანასკნელებმა ძლიერ წამოყვეს თავი იაპონიაში მას შემდეგ, რაც ტოკიოში ჩავიდა საფრანგეთის გენერალი ჟოფრი და ერთგვარი კონტაქტი შექმნა იაპონელ და ფრანგი სამხედრო წოდების შორის. სამხედრო პარტიამ გადასწყვიტა რათაც არ უნდა დაჯდომოდა ჩაეშალა საკითხი ზღვის პირის (პრიმორიე) ევაკუაციისა, რომელიც საპარლამენტო კომისიის მიერ სავსებით გადაწყვეტილი იყო. მილიტარისტებმა გაიმარჯვეს. იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა შეეწყვიტა დაირენის მოლაპარაკება და წამოეყენებია ახალი პირობები. (გამოტოვებულია). 16 აპრილს იაპონიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ რადგანაც შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა ვერ იჩენს სიმტკიცეს, ისინი სწყვეტენ დაირენის კონფერენციას და ინსტრუქციების თანახმად მიემგზავრებიან ტოკიოს, მაგრამ ფიქრობენ რომ ორივე მთავრობათა შორის დამოკიდებულება არ არის შეწყვეტილი. შესაძლებელია რომ იაპონიის მთავრობა ხელ-ახლად დაიწყებს მოლაპარაკებას უკვე შემუშავებულ მუხლების მიხედვით. საღამოს შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დელეგაცია გამოემგზავრა დაირენიდან; იგი გამოაცილა იაპონიის დელეგაციამ, რითაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ორ მთავრობათა შორის მშვიდობიანი დამოკიდებულება დარღვეული არ არის.

### აღმოსავლეთში

(ანგორაში)

ანგორის ოფიციოზს „ხაკი მიეტი მელიეს" მოყავს ქემალ ფაშის ვრცელი სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაზე. თავის სიტყვაში ქემალ ფაშამ სხვათა შორის სთქვა: „ოსმალეთის ნამდვილი პატრონი მწარმოებელი გლეხება. ამ ნამდვილი პატრონის მიმართ ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი ნამდვილი პოზიცია. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი დამახასიათებელი მხარეა მისწრაფება გლეხის კეთილდღეობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისაკენ, უნდა თავიდან ავიცილოთ გზების უქონლობა, თანამედროვე ტრანსპორტის საშვალებების ნაკლებობა, მიწად მომქმედი ელემენტებისათვის მავნებელი საქონლის გაცვლა გამოცვლის სისტემა და გამოვიმუშაოთ კანონები, რომლებსაც მიზნად ექნება გლეხების დაცვა. მე არ შემიძლია არ მოვიგონო ამ ჟამად უკვე გაუქმებული კაპიტულიაციის რეჟიმი, რომელიც ხელს უშლიდა მხარის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცვას უცხოეთის კონკურენციის წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ორგანიზაცია და წარმოების საშუალებები აქამდი იმყოფებოდენ სამწუხარო მდგომარეობაში. ჩვენ ხელს გვიშლიდა კონკურენცია: ჩვენმა კონკურენტებმა მოსპეს ჩვენი მრეწველობის ის დარგები, რომლებიც იდგენ საკმაოდ მაღლა. მაგრამ ეხლა ოსმალეთისათვის, რომელიც ანხორციელებს თავისუფალ და დამოუკიდებელ ცხოვრებას, კაპიტულიაციის რეჟიმი უკვე აღარ არსებობს".

შემდეგ მუსტაფა ქემალმა დაახასიათა ანგორის საგარეო პოლიტიკა, აღნიშნა საბჭოთა რუსეთთან მეგობრულ ხელშეკრულების დადება და ხაზი გაუსვა გადაწყვეტილებას, რომ ახლო მომავალში უნდა დადებულ იქნას სავაჭრო ეკონომიური და საელჩო ხელშეკრულება ორივე სახელმწიფოს შორის. „საბჭოთა რესპუბლიკებთან აზერბეიჯანთან, სომხეთთან და საქართველოსთან შეთანხმებებზე ხელის მოწერით, სთქვა ქემალმა, აღმოსავლეთში ჩვენ მიერ დაკავებულმა მდგომარეობამ მიიღო იურიდიული ფორმა. ეს ხელშეკრულება ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც ამტკიცებს სევრის ხელშეკრულების მიუღებლობას. ეგრედ წოდებული „სომხების საკითხი" ყველაზე უფრო რადიკალურათ გადაიჭრა ყარსის ხელშეკრულებით. მეგობრული განწყობილება ორივე შრომის მოყვარულ ხალხს შორის, რომლებიც სცხოვრებდენ მეგობრულად საუკუნეების განმავლობაში, საბედნიეროთ აღდგენილია.

რუსეთსა და მის მოკავშირეებთან საუკეთესო დამოკიდებულებათა დამყარებასა და გამტკიცებასთან ერთად, ჩვენ მიზნათ დავისახეთ გავამტკიცოთ უკვე არსებული მეგობრული დამოკიდებულება, იმ მეზობლებთან—აღმოსავლეთის მუსულმანურ სახელმწიფოებთან, რომლებიც იზიარებენ ჩვენ ბედს. ამ მიზნის განხორციელების გზაზე მოსკოვში ჩვენ უკვე დავდევით ხელშეკრულება მუსულმანურ სახელმწიფოებთან—ავგანისტანთან, სადაც იმყოფება ჩვენი წარმომადგენელი. ჩვენ გვსურს აგრეთვე მეგობრულ დამოკიდებულების დამყარება სპარსეთთან. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ სპარსეთმა გამოაგზავნა ელჩი ანგორაში. ერთი სიტყვით ჩვენი ურთიერთობანი რუსეთსა და აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან ვითარდებიან და მტკიცდებიან საერთო ინტერესების მიხედვით.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველი არის ძმური დამოკიდებულების გამტკიცება საბჭოთა რუსეთთან. რომელმაც ყველაზე ადრე პირდაპირ და გულწრფელად იცნო ჩვენი სრული და ნამდვილი დამოუკიდებლობა და გამოგვიწოდა მეგობრული ხელი".

შეეხო რა ბულგარეთს, ქემალმა გამოსთქვა იმედი, რომ ის შეიგნებს ბულგარეთის და ოსმალეთის ხალხების სასიცოცხლო ინტერესების მთლიანობას. „არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ბულგარელები არ აძლევდენ თავს ანგარიშს იმაში, თუ რამდენად ხელსაყრელია იმათთვის მეგობრობა ოსმალეთთან. უნდა იმედი ვიქრნიოთ აგრეთვე, რომ ბოლოს და ბოლოს ალბანეთიც მიხვდება თუ რისგან არის დამოკიდებული მისი კეთილდღეობა".

**საბერძნეთ-ოსმალეთის დროებითი ზავისათვის.**

**ბორდო. 25 აპრ. რადიო.** მიღებუ-

# ბრძოლა სიმშილობასთან

## წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

ამ წლის 7 აპრილს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა სახელმწიფო ოპერის თეატრში, საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ გამართა წარმოდგენა. წმინდა შემოსავალი ამ წარმოდგენიდან **56,805,000 მანეთი** და ანგარიში უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი მადლობას უძღვნის ამ წარმოდგენის ტეხნიკურად მომწყობთ ამხ. ვლ. ფანიაშვილს და ა. კალანდაძეს და აგრეთვე ქალაქის მილიციის უფროსს ამხ. მ. ჩხეიძეს და მის თანაშემწეთ ამხ. თაზიშვილს და კ. ხოჯაშვილს, რომელთაც თავისი პირადი მონაწილეობით დიდი დახმარება გაუწიეს კომისარიატს წარმოდგენის ჩატარებაში და აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც, ამ საღამოში მონაწილეობით, თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს დამშეულთა დახმარების საქმეში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი **ა. ჟუჟუნაშვილი.**

# წერილები ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ

I

საერთაშორისო ომიანობის მრავალ შედეგთა შორის, საყურადღებო მოვლენაა ცხოვრების გაძვირება. ცხოვრების გაძვირება საერთაშორისო საზოგადოებრივი უბედურებაა. ცხოვრების გაძვირება მთელი თავის სიმძიმით და სიმწვავით დააწვა მშრომელ ხალხს. ცხოვრების გაძვირება არის მშრომელი ხალხისათვის: შიმშილი, სიტიტვლე, მისი არსებობის განადგურება; ავადმყოფობის, სხვა და სხვა გვარი სენის გაძლიერება. ცხოვრების სიძვირე არის პირდაპირი შედეგი იმ ნგრევის, რომელიც საერთაშორისო ომიანობამ შექმნა. რას ნიშნავს ცხოვრების გაძვირება, რაში გამოიხატება იგი? ერთი წყვილი ფეხსაცმელის შეკერვას დღეს არ სჭირდება მეტი შრომა, მეტი მასალა, ვიდრე საჭირო იყო ომიანობამდე. შრომა, მასალა იგივე არის, მხოლოდ თუ ფეხსაცმელი ომიანობამდე ათი მანეთი ღირდა, დღეს ღირს ერთი მილიონი მანეთი. მაშასადამე, ცვლილება მოხდა რაღაც სხვა მდგომარეობაში. ერთი გირვანქა პურის დამზადებას არ სჭირდება მეტი მასალა და მეტი შრომა 1922 წ., ვიდრე საჭირო იყო 1912 წ. შრომა იგივე, მასალა იგივე, ღირებულება, ფასი სხვა.

მიზეზი სიძვირის არის ძლიერ რთული. საერთაშორისო ომიანობამ დაანგრია წარმოება. წარმოება დღეს ქმნის გაცილებით ნაკლებ ღირებულებას, ვიდრე მოთხოვნილება არის. ურთიერთობა მოთხოვნილებას და ღირებულების შორის დარღვეული არის. მოთხოვნილება მეტია, ვიდრე მიწოდება, რადგან დანგრეულ მეურნეობას აღარ შეუძლია შექმნას შედარებით საკმაო რაოდენობა საქონლისა.

ეს არის პირველი და მთავარი მიზეზი. მიზეზი მეორე. საქონლის ღირებულების გამომხატველი არის ფასი, ფასი გამოიხატება ფულის ნიშნების რაოდენობაში. ფული კი საქონლის ტრიალში არის მხოლოდ საზომი, შუამავალი. ფულმა ესე იგი საქონლის ღირებულების საზომმა დაკარგა თავისი თვისება, ფულის ნიშნების რაოდენობა უფრო გამრავლდა ვიდრე რაოდენობა საქონლისა. ფულის ნიშნები მეტია ვიდრე საქონელი, მაშასადამე საქონლის ერთეულში ჩვენ უნდა მივაწოდოთ მეტი რაოდენობა ფულის ნიშნებისა, ვიდრე წინეთ ვიძლეოდით. შემდეგი მიზეზი: საქონლის მიწოდების საშუალებანი რკინის, წყლით სავალი გზები, გზატკეცილები ანუ ზოგადათ ტრანსპორტი სრულიად დაინგრა, ომიანობის დროის ტრანსპორტი ემსახურებოდა ზარბაზნების, ყუმბარების გადაზიდვას ჯარების გადაყვანას. ეს საქმე დიდის სისწრაფით, სიჩქარით ხდებოდა, გზების გაცვდა, დაინგრა. საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვა ვეღარ ხერხდება სწრაფათ, დროზედ. ყველა ეს მიზეზები შექმნა ომიანობამ, ომიანობაში მთელი კაცობრიობა გაეხვია, შედეგი ომიანობის ყველგან ერთი და იგივე არ არის. ძლიერი სახელმწიფო გამოვიდა ომიანობიდან უფრო ნაკლებათ დაზარალებული, ვიდრე სუსტი. ეკონომიურად ძლიერი სახელმწიფო უფრო გამძლე შეიქმნა, ვიდრე სახელმწიფო ეკონომიურად დაქვეითებული. ეკონომიური ძლიერება გამოიხატება წარმოების განვითარებაში, ტრანსპორტის მოწყობილებაში. სახელმწიფო, რომელსაც ქონდა 1) წარმოება; რომელიც ქმნიდა საქონელს, 2) სათბობი და ნედლი მასალა, საფუძველი წარმოების, 3) ტრანსპორტი, საშუალება საქონლის, ნედლი და სათბობ მასალის გადაზიდვა-გადმოზიდვის ასეთ სახელმწიფოში მეურნეობა შეირყა, მაგრამ მეურნეობის დანგრევა ისე მძიმე არ შეიქნა, როგორც სახელმწიფოში, სადაც მეურნეობა სუსტი იყო.

რა მდგომარეობაში ჩავარდა საქართველო? საქართველოს მეურნეობა ომიანობამდე ძლიერ სუსტი იყო. საქართველოში მხოლოდ ჩანასახი თუ იყო მრეწველობის, წარმოების, საქართველოს არ ქონდა საკმაო არც პური, არც შაქარი, არც ფართალი. საქართველო თავის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა შემოზიდული საქონლით. საქონელი შემოდიოდა რუსეთიდან მეტი წილი, და ევროპიდან. ომიანობამ დაანგრია ეკონომიური ურთიერთობა. საქართველო დარჩა ცალიერ კერას წინ: მოთხოვნილება დარჩა, მიწოდების საქმე კი დაინგრა. ცხოვრება ძლიერ გაძვირდა.

ჩვენი მიზანი არის ჩავიხედოთ როგორ ძვირდებოდა ცხოვრება, რა მიმართულება და მიდრეკილება ქონდა ცხოვრების გაძვირებას ომიანობის დამთავრების შემდეგ დღემდე. შეიძლება ჩვენ აღმოვაჩინოთ ხასიათი სიძვირის განვითარების, მიდრეკილების და მოვძებნოთ საშუალებანი ცხოვრების გაჯანსრთელების. მაგრამ, ნურავინ ნუ იქნება ასე გულუბრყვილო, რომ ცხოვრების სიძვირეს შეაჩერებს და ახლო მომავალში ბოლოს მოუღებს. ვიდრე ძირიან-ფესვიანათ არ იქნება მოსპობილი საერთაშორისო ომიანობის შედეგები, ძნელია ცხოვრების სიძვირეს მოშორება. ვიდრე არ იქნება მეურნეობის ნიადაგი გარდაქმნილი, მანამდის შეიძლება მხოლოდ სიძვირის შესუსტება და არა მისი გაუქმება. ომის შედეგების მოსპობა, მისი უდიდესი შედეგის ცხოვრების გაძვირების მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაბრუნდება მთელი ის ეკონომიური ნიადაგი, რომელმაც საერთაშორისო ომიანობა წარმოშვა და ეხლაც მომავალი სისხლის ღვრას ამზადებს.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მეთვალყურემ უნდა განიხილოს და გამოიკვლიოს ცხოვრების გაძვირება ჩვენ რესპუბლიკაში. ცხოვრების გაძვირების მსვლელობა, მისი მიდრეკილება გვაჩვენებს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების საერთო მიმართულებას და შეიძლება მივიღოთ ისეთი დასკვნანი, რომლებიც გამოსადეგი შეიქნეს სადღეისო მოქმედებისათვის.

ცხოვრების გაძვირება და ფულის ღირებულების გაიაფება ერთი და იგივე მოვლენაა. ფულის ღირებულების აწევა ან დაწევა არის გამომხატველი იმისა, რომ ფულის ნიშნებმა დაკარგეს მნიშვნელობა, ისინი ვეღარ ასრულებენ თავის დანიშნულებას. ფული უკვე აღარ არის ის საზომი, რომლითაც შეიძლება საქონლის ღირებულების აღნიშვნა. ვიდრე სხვა საზომი ღირებულებისა გარდა ფულისა არ არის, უნდა გავიკვლიოთ ფულის ღირებულების ცვლილებანი. საქართველოს ფულის ნიშნების ღირებულების ცვლას უნდა დაუდოთ რაიმე მტკიცე საფუძველი და მასთან შედარებით უნდა ვიანგარიშოთ რამდენი დაკარგა თავისი ღირებულებიდან საქართველოს ფულმა.

ასეთი საფუძველი არის ინგლისის სტერლინგი. სხვა სახელმწიფოების ფულის ნიშნებთან შედარებით ინგლისის სტერლინგის ღირებულება, გარდა ამერიკის დოლარისა, მტკიცეა. ჩვენი მიზნისათვის საკმარისია საანგარიშოთ მივიღოთ ინგლისის სტერლინგი.

საქართველოს მიეცა საშუალება გარეშე ვაჭრობაში მონაწილეობის საერთაშორისო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ბათუმიდან გასავალი გზები გაიხსნა. ეს ხანა არის 1918 წ. დამლევი ქრისტეშობისთვე. 1918 წ. ქრისტეშობისთვეში თითო ინგლისის სტერლინგი ფასობდა—40 მანეთი. 1919 წ. დასაწყისში—იანვარში სტერლინგის ფასი არის 55 მანეთი, ერთი თვის განმავლობაში ინგლისის სტერლინგის გაძვირება უდრის 97,5 პროც. შემდეგ ინგლისის სტერლინგის გაძვირება შეუჩერებლათ ხდება, იყო ისეთი კვირეები, თვეები, როდესაც სტერლინგი ოდნავ იაფდებოდა, საერთოდ კი სტერლინგი გაუჩერებლათ ძვირდება 1919 წ. რაც შემდეგი ცხრილიდან სჩანს (მანეთები)

| | | პროც. ში. |
|---|---|---|
| იანვარში | —55 | — |
| თებერვალი | —100 | 81 |
| მარტი | —150 | 50.0 |
| აპრილი | —190 | 21.5 |
| მაისი | —250 | 24.0 |
| ივნისი | —300 | 16.6 |
| ივლისი | —350 | 16.6 |
| აგვისტო | —375 | 7.1 |
| სექტემბერი | —525 | 37.3 |
| ოქტომბერი | —620 | 18.0 |
| ნოემბერი | —688 | 10.9 |
| დეკემბერი | —762 | 10.7 |

სტერლინგის ფასი ქართული ფულის ნიშნებზედ თვიდან თვემდე შეუჩერებლათ იზრდება; როგორც ცხრილიდან სჩანს, ეს ზრდა თვიდან თვემდე სხვა და სხვა პროცენტებში იხატება. შედარებით უფრო გაძვირდა 1919 წ. პირველ ორ თვეში, შემდეგ ეს ზრდა პროცენტებში აპრილიდან შემოდგომის დასაწყისამდე—სექტემბრამდე იმდენ განსხვავებას აღარ წარმოადგენს, სექტემბერში და ოქტომბერში სტერლინგის ფასები წინა თვეებთან შედარებით ავა ზევით ნოემბერში და დეკემბერში, პროცენტი ფასების ზრდისა დაიწევს.

თუ ავიღებთ სტერლინგის ფასს 1912 წლის იანვრის და დეკემბრის და შევადარებთ, პროცენტი გაძვირებისა იქნება 1285,4 პროც. სტერლინგის ფასი 1920 წ. სჩანს შემდეგი ცხრილიდან (მანეთები):

| | | |
|---|---|---|
| იანვარი | 890 | პროც-ში. |
| თებერვალი | 961 | 77,7 |
| მარტი | 979 | 1,8 |
| აპრილი | 1042 | 6,4 |
| მაისი | 1244 | 1,8 |
| ივნისი | 1524 | 21,7 |
| ივლისი | 1894 | 24,2. |

1920 წ. იანვრიდან—ივლისამდე ინგლისის სტერლინგი გაძვირდა, გაძვირება უდრის 112,5 პროც. შედარებით 1919 წ. იანვართან შედარებით 1920 წ. ივლისს ინგლისის სტერლინგის გაძვირება შეადგენს 3343,6 პროც., მთელი წლის განმავლობაში. 1920 წ. 1908,4 პროც. ივლისიდან ინგლისის სტერლინგის ფასის ზრდაში ხდება დიდი გარდატეხა, ინგლისის ფასი დიდის სისწრაფით იზრდება. 1921 წ. იანვარში ინგლისის სტერლინგი ღირს 17875 მან. 1920 წლის იანვრის ფასთან შედარებით სტერლინგის ფასის ზრდა შეადგენს 1908,8 პროც., 1920 წ ივლისთან შედარებით 843 პროც. 1919 წ. იანვართან შედარებით სტერლინგის ფასის ზრდა გამოიხატება —32,218,1 პროც. სტერლინგის ფასის ცვლილება, მაშასადამე შემდეგი იყო: 1919 წლიდან დაწყებული ინგლისის სტერლინგის ღირებულება საქართველოს ფულის ნიშნებზედ შეუჩერებლად იზრდება, ამ ცვლილებაში დიდი ნახტომები არის. 1919—1921 წ. ესე იგი ორი წლის განმავლობაში სტერლინგის ფასის ზრდა უდრის 32,218,1 პროც. ესე იგი სტერლინგის ფასი 325-ჯერ გაიზარდა, ანუ საქართველოს ფულის ნიშანის ღირებულება 325-ჯერ დაეცა, შემცირდა, 1920 წ. ივლისიდან სტერლინგის ფასი ძლიერ იზრდება. 1921 წ. განმავლობაში სტერლინგის ფასი კიდევ უფრო გაიზარდა. 1921 წ. თვიდან თვემდე სტერლინგის ფასის ცვლა შემდეგში გამოიხატება:

| | | | |
|---|---|---|---|
| იანვარი | 17,875 | 0 | |
| თებერვალი | 18,875 | 5,6 | პროც. |
| მარტი | 66,500 | 252,2 | „ |
| აპრილი | 116,000 | 74,4 | „ |
| მაისი | 198,300 | 70,9 | „ |
| ივნისი | 282,500 | 41,9 | „ |
| ივლისი | 379,000 | 34,1 | „ |
| აგვისტო | 422,600 | 11,5 | „ |
| სექტემბერი | 357,300 | 15,4 | „ |
| ოქტომბერი | 327,500 | 8,3 | „ |
| ნოემბერი | 438,000 | 33,4 | „ |
| დეკემბერი | 858,125 | 96,1 | „ |

1921 წ. დეკემბერში შედარებით იანვრიდან სტერლინგის ფასი გაიზარდა 4325,6 პროც. ანუ 48 ჯერ 1921 წ. სტერლინგის ფასის ზრდა სულ სხვა გზით მიდიოდა, ვიდრე წინა წლებში, სტერლინგის ფასის ზრდა უფრო სწრაფად მიდის, მეტის სისწრაფით იზრდება, პროცენტებში სტერლინგის ფასის ზრდა უფრო დიდი არის 1921 წ. ვიდრე 1919—1920 წლებში. სტერლინგის ფასი ძლიერ გაიზარდა მარტში—252,2 პროც. ასეთი დიდი პროცენტი სტერლინგი ფასის ზრდისა არასოდეს არ ყოფილა ორი წარსული წლის განმავლობაში. მიზეზი ამისა არის პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოსი, ახალი ხელისუფლების დამყარება. შეშინებული და დაფეთებული მოქალაქეები, ვისაც კი რაიმე ძალღონე ქონდა, ცდილობდა საქართველოს საზღვრებიდან გახიზვნას, ასეთი მოქალაქეები იყვნენ მკვიდრი მოსახლეები საქართველოსი და მრავალ გვარი უცხოელები. უცხო ქვეყნების ფულის ნიშნების მოთხოვნილება ძლიერ გაიზარდა, სტერლინგის ფასი არა ჩვეულებრივ გაიზარდა, ვინაიდგან ძლიერ დიდი შეიქნა უცხო ქვეყნების ფულის ნიშნების მოთხოვნილება. შემდეგ თვეებში ახალი ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოსახლეობა დამშვიდდება, ვისაც შეეძლო გახიზვნა, გაიხიზნა აღდგა სავაჭრო ურთიერთობა ევროპასთან, დაიწია მოთხოვნილება, შემოვიდა ახალი რაოდენობა უცხოეთის ფულის ნიშნების და სტერლინგის ფასი დაეცა აპრილში და მაისში 709—74,4 პროც. ივნისში და ივლისში დაიწყო სავაჭრო ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკასა და უცხოეთს შორის, დაიწყო ვაჭრობა, შემოზიდვა და გაზიდვა საქონლის, სტერლინგის ფასი დაეშვა, წინა თვეებთან შედარებით სტერლინგის ფასის ფასის განსხვავება აგვისტოში უკვე შეადგენს 11,5 პროც.

აღსანიშნავი არის შემდეგი მოვლენა, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს სტერლინგის ღირებულებაზედ საქართველოში: რამდენათაც ეწყობოდა წესიერება საქართველოს შინაურ ცხოვრებაში, რამდენათაც ეწყობოდა ახალი ძალაუფლება, იმდენად სტერლინგის ფასის ზრდა უფრო ნელი ნაბიჯით მიდის. მოქალაქეები დაამშვიდდენ, აღსდგა ჩვეულებრივი საქმიანობა. სტერლინგის ფასის განსხვავება თვიდან თვემდე აღარ შეება ისეთ ნახტომებს, როგორც ახალი ძალაუფლების დამყარებისას. მაგრამ ჩვეულებრივი საქმიანობის აღდგენა არ ხდება სავსებით, თვით ამ საქმიანობაში არის ნახტომები, შიში ახალი ხელისუფლების წინაშე სრულებით არ ქრება და სტერლინგის ფასის ზრდა შედარებით წინა წლებთან უფრო დიდი არის თვიდან თვემდე. თუ სტერლინგის ფასის ზრდას და განსხვავებას თვიდან თვემდე 1921 წ. შევადარებთ 1919 და 1920 წ. დავინახავთ, რომ სტერლინგის ფასი ძლიერ გაიზარდა.

1919 წლის განმავლობაში სტერლინგის ფასი გაიზარდა 1285,4 პროცენტი ანუ 13 ჯერ; 1920 წ. 5ახევარი წლის განმავლობაში 112,5 პროცენტი ანუ ორჯერ, მთელი წლის განმავლობაში 1908,4 პროც. ანუ 26-ჯერ, 1921 წ.—4325,6 პროც. ანუ 48-ჯერ.

1921 წელიწადი სტერლინგის ღირებულებისათვის ძლიერ ცუდი წელიწადი იყო. ჩვენი ცნობიდან ნათლად სჩანს, რომ ახალი ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სტერლინგის ფასი იზრდებოდა საერთოდ, მართალია ზოგიერთ თვეებში სტერლინგის ფასი ოდნავ მცირდებოდა, მაგრამ საშუალოდ და საბოლოოდ სტერლინგის ფასის ზრდა არ შეჩერებულა, მაშასადამე საქართველოს ფულის ღირებულება მცირდებოდა, მისი ღირებულება შეუჩერებლად ძირს მიდიოდა 1920 წელს ივლისიდან არის დიდი ნახტომი, სტერლინგის ფასი ძლიერ ავიდა ზევით შედარებით 1920 წლის პირველ ნახევართან, და შეადგენს 843,7 პროც. 1921 წ. კი აღნიშნული ახალი პოლიტიკური მდგომარეობის გამო სტერლინგის ფასების ზრდამ გადააჭარბა გასულ წინა წლებს. ერთი წლის განმავლობაში სტერლინგის ფასი გაიზარდა 4325,6 პროც. სრულიად მიუდგომლათ უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხელისუფლების დამყარებამდე სტერლინგის ფასის გაუმჯობესება არ ეტყობოდა, ესე იგი საქართველოს ფულის ნიშნების ღირებულების გამოკეთება არ იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სტერლინგის ფასი ადის ზევით, ქართული ფულის ღირებულება ეშვება ძირს 1921 წლის დასაწყისათვის უკვე გამოირკვა დიდი ცვლილება სტერლინგის ღირებულების, სტერლინგის ფასი 1920 წლის მეორე ნახევრიდან ძლიერ აიწია და ზრდა აღარ ჩერდება. 1921 წელს უკვე შექმნილ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ სტერლინგის გაძვირებას და ქართული ფულის გაიაფებას, მიემატა ახალი პირობები, მაშასადამე, უკვე შექმნილ მიდრეკილებას სტერლინგის გაძვირებას დაერთო ახალი წეს-წყობილების დამყარება, არსებული წეს-წყობილების გარდაქმნა. ეს გარდაქმნა იმდენად ძლიერი იყო, იმდენათ თვალსაჩინო იყო, იმდენათ შესცვალა არა მარტო პოლიტიკური ურთიერთობა, არამედ ეკონომიური

# მომავლის მჭედელი

**ძლვნათ საქართველოს პროლეტკულტს.**

(ვერჰარნიდან)

მოხუცი მუშა, ვერცხლის თმიანი,
ვინც დიადობა სიჩუმით ჰპოვა,
ქურას დასცქერის იმედიანი,
ცეცხლს სიბრწყინვალე მთლად ამოსწოვა.

—

მან ჩააკივლა ცეცხლიან ქურას
სულში ნაგუბი რისხვა და წყევლა,
მან ჩააქსოვა ცეცხლის ოქროს ალს
გულის წყრომის და ვაების ელვა,
რომ მცხუნვარებდეს ცეცხლი ქურაში
რომ გაალღვდეს ფოლადის სოლი,
რომ საბერველის ბერვა-ქშინვაში
არ ჩაქრეს ცეცხლი, არ ექნეს ბოლი.

—

მან კარგათ იცის, რომ ხელში თოფით
უნდა ელოდეს გათენებასა,
ნაკლები სიტყვით, მეტი ძალ-ღონით
არ უნდა გაჰყვეს ღამის ნებასა.

—

მან კარგათ იცის, რომ ბრბო მღელვარე
გარს გამეფებულს წყვდიადს და სისხლსა
უცბად გამოჰგლეჯს ჩვენს ნანატრ არეს
და ძველ ქვეყანას დაუფრთხობს ძილსა,
რომ ჩვენს ოცნებას შეესხას ფრთები,
ტახტი დაედგას ბედნიერებას,
მუდამ ყვაოდეს მინდორ-ველები,
გზა ფართო ქონდეს სულის ძიებას.

—

ის მზიან დღეებს ჰვრეტს ცეცხლის ხმებში
როს ძმა ძმისათვის არ არის მგელი,
როს კაცის სულის შავბნელ ხვრელებში
ალარ იბუდებს გველი მშხამველი.

**სანდრო ეული**

---

ლია კონსტანტინეპოლში ანგორის მთავრობის პასუხი მოკავშირეთა ნოტაზე. ანგორა თანახმაა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში, რომელიც მოკავშირეებს აქვთ პროექტად დასახული, მაგრამ დაჟინებით მოითხოვს მცირე აზიის ევაკუაციას ანგორის მთავრობას ჯერ არ დაუნიშნავს თავისი რწმუნებულები საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად.

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

## სომხეთი

**ერევანი, 25 აპრილი (რადიო). ბამბის მოყვანა.** მოსკოვიდან მიღებულ ცნობის თანახმად რუსეთის ბამბის მოყვანის ხელის შემწყობმა მთავარმა კომიტეტმა გადადვა სომხეთისათვის 25 მილ მანეთი ბამბის მოყვანის აღსადგენად.

**თესვის კამპანია.** დასრულდა თესვის კამპანია და იწყება ბამბის მოყვანის კამპანია. მიწადმოქმედების კომისარიატში შემოსული ცნობებით გაზაფხულის თესვა ყველგან წარმატებით მიმდინარეობს. ეჩმიაძინში და ერევანში მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ დაარსებულია ცენტრალური კომიტეტები, რომლებიც განაგებენ ბამბის მოყვანის საქმეს. შემოღებულია შემდეგი წესი ბამბის თესლის დასარიგებლად: იმ პირებს, რომლებიც საჭიროებს მთავრობის სუბსიდიას და სათესი მასალით დახმარებას, უნდა ჰქონდეთ რაიონის კომიტეტებიდან მოწმობები თავის შრომის უნარიანობის შესახებ; ერთ დესეტინა მიწაზე გაიცემა 8—12 ბამბის თესლი და 2 ფუთი ხორბალი სუბსიდიის სახით დამატებითად გასაცემი სათესი მასალის ნორმას გამოიმუშავებს კომისია ბამბის თესლის გათავებისთანავე.

**სარწყავი არხების აღდგენა.** მიწადმოქმედების კომისარიატის წყალის განყოფილება უკვე შეუდგა ეჩმიაძინის, აბარანსკის, დარაგალსკის და ბაგდანოვსკის სარწყავი არხების შეკეთებას. არხების გაწმენდა დბ ეჩმიაძინის არხის აშენება მიჩნეულია დამკვრელ სამუშაოდ. ეჩმიაძინის არხის წინასწარი მუშაობა უკვე დასრულებულია, გეოდეზიური მუშაობა მზადაა და უკვე შეუდგნენ არხების ბეტონების დამზადებას. სამუშაოზე გაწვეულია ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებსაც ესმით რა მუშაობის მთელი მნიშვნელობა, სიამოვნებით გამოდიან მის შესასრულებლად. მუშების ხელფასი ურიგდებათ ნატურით.

**მილიციის გაწმენდა.** მილიციის გამწმენდი მუშაობა არასაიმედო ელემენტებიდან მიმდინარეობს წარმატებით. სისხლის სამართლის მილიციის გასაწმენდი მუშაობა უკვე დასრულებულია. ალექსანდროპოლში დაარსებულია სპეციალური ცენტრკომი რკინის გზის მილიციის გასაწმენდად. მთელი მილიციის გაწმენდა რესპუბლიკის მასშტაბით დასრულდება 15 მაისისათვის.

**სათესი მარცვალი.** სომხეთის დამხმარე კომიტეტის სახელზე სტამბოლიდან ბათომით მიღებულია 14 ვაგონი სათესი მასალა.

**სომხეთის დამხმარე ორგანოების წარმომადგენლების ყრილობა.** სომხეთის დამხმარე კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს ივლისის ბოლოში ერევანში ყრილობა სომხეთის დამხმარე ორგანოების წარმომადგენლებისა, რომლებიც მოქმედებენ საბჭოთა რესპუბლიკებში და წითელ ხაზს იქით.

**დახმარება ეგვიპტიდან.** ეგვიპტის სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოებების კავშირმა გამოაგზავნა სომხეთში და უკვე მოვიდა ბათომში 70 ათასი კილო სათესი მარცვალი.

**ლტოლვილები.** სომხეთის დეპეშათა სააგენტოს ყარსის კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება: „ყარსში აქამდე იმყოფება ბევრი ლტოლვილი და უთავშესაფარო სომეხი ბავშვები. სომხეთის წარმომადგენლობამ ყარსში დაიწყო უპატრონო ბავშვების შეგროვება და გადმოგზავნა ალექსანდროპოლის თავშესაფრებში.

# აზერბაიჯანი

**ვაჭრობის და მრეწველობის სახალხო კომისარიატი.**

**ბაქო, 25 აპრ.** უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ მოწონებულია დებულება ვაჭრობის და მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ. ახლად დაარსებულ კომისარიატის ამოცანებში შედის: ვაჭრობის და მრეწველობის სამთო ნაწილის (გარდა იმისა, რომელიც ექვემდებარება აზნავთს), სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ძოწესრიგება და სხვა. კომისარიატის შემადგენლობაში შედის სომხეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომელიც გადაკეთდა სახელმწიფო წარმოებათა მმართველობად. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალების შესასრულებლად წყალის, რკინის გზის და შარა გზების დარგებში ინიშნება ცალკე სამმართველო. ვაჭრობის სამმართველო აწესრიგებს და ამტკიცებს საკითხებს, რომლებიც ეხებიან საგარეო ვაჭრობის პოლიტიკას. მრეწველობის სამმართველო განაგებს მსხვილ, წვრილ და ნავთის მრეწველებს და აგრეთვე შინა-მრეწველობას. ამავე სამმართველოს ეკისრება გასაცემ კონცესიების პირობების გამომუშავება.

**მევენახეთა კავშირი.** უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა, უფლება მისცეს მშრომელ მევენახეებს, გამოვიდნენ უცხოეთის ბაზარზე კოოპერატივების საშუალებით.

**ტრიესტინის ბაზრობისათვის.** უმაღლესმა ეკონომიური საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, მისცეს საბჭოთა აზერბაიჯანის კომიტეტს ტრიესტინის ბაზარზე მონაწილეობის მისაღებად და საორგანიზაციო ხარჯებისათვის 500 მილ. მანეთი. უმაღლეს ეკონომიური საბჭოს კომისიას დაევალა გადასდოს სავალიუტო საქონელი 70,500 მან. ოქროთი ექსპონანტების გადასატანად და მოსაწყობად ტრიესტინის ბაზრობაზე.

**საფუთო გადასახადის შეცვლა.** კომუნალური მეურნეობის სასარგებლოდ საფუთო გადასახადი, რომელიც დადებული იყო ბაქოში შემოსატან და ბაქოდან გასატან საქონელზე, ბაქოს საბჭოს მიერ დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, მნიშვნელოვანად შემცირებულ იქმნა. გადასახადი 2 მ. 50 კ. ოქროთი დასტოვეს მხოლოდ ფუფუნების საგნებზე. ღვინის სპირტის პროდუქტებზე ედება მხოლოდ ერთი მან., ოქროთი, ყურძნის ღვინოზე 20 კ. გადასახადები დაწესებულია შემდეგი სახით: 2 მან. 50 კაპ., 1 მან, 75 კ., 50 კ., 25 კ., 20 კაპ., 12 კ., 7 კ., 1-ნახევ. კ, ნახევარი კ., და ერთი მეოთხედი ზოგიერთი საქონელი სავსებით განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

**ბრინჯი საქართველოში.** უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაიტანოს საქართველოში 2,000 ფ. ბრინჯი მისი რეალიზაციისათვის იქ თამბაქოს შესყიდვის მიზნით.

**რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია აზერბაიჯანში.** აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკასთან პარტიის ისტორიის შემკრები ბიურო აცხადებს: „ვიწყებთ რა მუშაობას აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ისტორიული-რევოლიუციონური მასალების შესაკრებად, შესანახად და დასამუშავებლად, პარტიის საისტორიო ბიუროს იმედი აქვს, შექმნას პოლიტიკურ რეჟიმის ჩვენი წარსული ბრძოლის ძეგლი ყველა ამხანაგების აქტიური დახმარებით, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ ამ ბრძოლაში აზერბაიჯანის ფარგლებში და რომლებსაც, მიუხედავად პოლიტიკური მიმდინარეობისა, ვთხოვთ, მოგვაწოდონ პირადი მოგონებები (რაც შეიძლება, სრული ცნობები), ბაქოში მუშათა მოძრაობის დასაწყისიდან—1893 წ.—1905 წლამდე, 1905 წ.—1913 წლამდე, 1913 წ. 1922 წლის 28 აპრილამდე. თუ ვინმეს შერჩა არალეგალური, როგორიც არიან ფურცლები, პროკლამაციები, სურათები, და სხვა. გთხოვთ მოიტანონ მოგონებებთან ერთად პარტიის საისტორიო ბიუროში.

**მუშების მოხვლა.** გროზნოდან მოვიდა ნავთის მრეწველობის მუშების ერთი ჯგუფი რიცხვი 34 კაცი.

# პროლეტკულტში

**რა არის საჭირო რომ გაიგო თუ რა არის პროლეტკულტი**

სიტყვების შემოკლება, წინადადების გაერთსიტყვება, ახლა მოდაშია შემოსული. ამიტომ არც არავის უკვირს პროლეტკულტის გაგონება, თუმცა ბევრს არავითარი წარმოდგენა არა აქვს მასზე და ბევრსაც ძალიან ყალბათ და ბუნდოვანათ გაეგება ის.

ერთ დროს (1905 წ.) ჩვენში „პატარა წერილებს სწერდენ დიდ კითხვაზე“, ე. ი. პარტიაზე და ისიც „შიშკალიფათ“, თითქო საჭიროთაც არ სთვლიდენ ეწერათ რამე ამ კითხვაზე: მაშინ როდესაც პარტია უკვე დაარსებულიც იყო და დიდ გავლენასაც ახდენდა ჩვენს ცხოვრებაში.

დღესაც რომ ასე არ მოგვივიდეს საჭიროა აქედანვე განვმარტოთ, გავითვალისწინოთ და შევიგნოთ კარგათ, თუ „რა ხილია“ ეს პროლეტკულტი და მერე შეუდგეთ მის დაარსებას.

ვიცით, რომ ეს სიტყვა ორ სიტყვის შედუღებას წარმოადგენს:

**პროლეტარული კულტურა.** მაგრამ კარგათ ვერ გაგვიგია, თუ რათ მოხდა ეს. ბევრს ჰგონია: რაკი **მაღალი კულტურა** ყველასათვის კარგია, მაშასადამე პროლეტარიატისთვისაც კარგი უნდა იყოს და არავითარი სხვა კულტურა-პროლეტარული—მისაღები არაა და არც შეიძლება არსებობდესო. კარგი მეცნიერული გამოკვლევა, კარგი პოეტური ნაწარმოები ყველასთვის კარგია და მისაღები, ყველასთვის სასარგებლოაო, გვარწმუნებენ ისინი. ფორმულა „კარგი-კარგია“ არ კმარა.

მართალია არა თუ მაღალი კულტურიდნ არამედ დაბალი კულტურიდანაც ბევრი რამეა მისაღები პროლეტარიატისთვისაც, მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ მასში ბევრი ისეთიც არის, რაც უკუსაგდები და მოსასპობია. ამის სულ უბრალო მაგალითს წარმოგვიდგენს წარსულში „საღმთო სჯულის სწავლება“. დიდ „განათლებათ“ მიაჩნდათ ეს საქმე დღემდე ჩვენში, მაგრამ დღეს ყველა ხედავს, თუ რამდენათ მისაღებია ის.

ასევე ითქმის კულტურის სხვა დარგზედაც. აქ აუცილებლათ საჭიროა განსაკუთრებული გარკვეული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ვსწყვეტთ კითხვას მისაღებია, თუ უარსაყოფი საგანი ანუ მოვლენა.

პროლეტარიატისათვის ასეთი თვალსაზრისი მხოლოთ ერთათ ერთია, ეს არის **ისტორიულ-კლასობრივი** თვალსაზრისი.

ვისაც ეს თვალსაზრისი არა აქვს, ვინც მით აღჭურვილი არაა, ის ვერც გაიგებს, თუ რა არის პროლეტკულტი; ის ვერც მიხვდება, რომ კულტურა არის ბურჟუაზიულიც და თავადურიც, გლეხურიც და პროლეტარულიც; ვერ მიხვდება, რომ ერთ ისტორიულ გაბატონებულ კლასის დამხობასთან ერთათ მისი კულტურაც ჰქრება.

ამიტომ ვისაც სურს გაიგოს, თუ რა არის პროლეტკულტი, ის უწინარეს ყოვლისა ისტორიულ-კლასობრივი თვალსაზრისით უნდა შეიარაღდეს, ე. ი. გახდეს **მარქსისტი.**

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა იმისთვის, რომ გაიგო, თუ რა არის პროლეტკულტი.

ჩვენ ვიცით, რომ ერთ დროს არსებობდა წინაპართა კულტი, ე. ი. წინაპრების სულის გაღმერთება. ამას მეცნიერულათ ფეტიშიზმი ეწოდება. ვიცით აგრეთვე, თუ როგორ გაღმერთდა საზოგადოებაში ფული. „ფული პატარა ღმერთიაო“ ხუმრობით ამბობენ ხოლმე ჩვენებური მეშჩანები და მსხვილი ბურჟუაზია ხომ ნამდვილათ აღმერთებს ფულს. მარა მას, როგორც ვიცით, მეორე ღმერთიც ჰყავს; ეს არის მისი „მე“, მისი ინდივიდუალობა. მის წარმოდგენაში ყველაფერი ამ მისი ინდივიდუალობისათვის არსებობს. ერთი სიტყვით მისი ღმერთი მისივე თავია.

მაგრამ ინდუსტრიალურ პროლეტარისათვის ეს ასე არაა. ამას უკოლექტივოთ თავისი „მე“ ვერ წარმოუდგენია, ის ერთიანათ კოლექტივში ცხოვრობს და კოლექტივი ყოვლათ შემძლეთ წარმოუდგენია.

კოლექტივი—აი ვინ არის მისი ღმერთი, ვინ არის მისთვის „ყველაფერი“, მისი კულტი. ის რასაც ჰქმნის ამ კულტისთვის ჰქმნის და მის სახესა და იერს აძლევს; ამიტომ ის, ვინც კოლექტივს ასე არ უყურებს, ის პროლეტკულტსაც ვერ გაიგებს, ის პროლეტკულტსაც ვერ იწამებს.

მაშასადამე იმისთვის რომ გაიგო, თუ რა არის პროლეტკულტი, საჭიროა გაიმსჭვალო კოლექტივის სიყვარულით, იწამო ის და ერთიანათ დაეყრდნო მას, ე. ი. გახდე **კოლექტივისტი.**

მაშ ასე, თუ გსურს გახდე პროლეტკულტის წევრი, უწინარეს ყოვლისა **უნდა გახდე მარქსისტულათ მოაზროვნე და კოლექტივის მოსიყვარულე, კოლექტივისთვის თავდადებული.**

**რ. კალაძე.**

---

წეს-წყობილება, მისი მიმართულება, რომ შეუძლებელი იყო გავლენა არ მოეხდინა ფულის ტრიალის მთელ მდგომარეობაზედ. ეს ასეც მოხდა. პირველი თვეები ახალი ხელისუფლების დამყარების არის ხანა, როდესაც ეკონომიური ნიადაგი შეკრთა; სტერლინგის ფასი დიდ ნახტომს იძლევა. მარტ-ივლისში გარდა ბუნებრივი პირობებისა სტერლინგის გაძვირებას ხელი შეუწყო ბოროტ სპეკულიაციამ, რომელმაც ისარგებლა ცხოვრების ახალი პირობებით. სექტემბერი—ნოემბერი არის თვეები, როდესაც წინა თვეებთან შედარებით სტერლინგის ფასი დაეცა, ქართული ფულების ღირებულება აიწია. ამ თვეებში იყო განხორციელებული სასანიტარო გადასახადი. სახელმწიფო მოთხოვნილება კანონიერი და საღი იყო. მან ძლიერ კარგი გავლენა მოახდინა, დროებით ფულის ღირებულება გამოკეთდა. მაგრამ შედარებით იანვარ თებერვალთან სექტემბერში და ოქტომბერში სტერლინგის ღირებულება ძლიერ იყო გაზრდილი—1842,0 პრ.

ნოემბერ-დეკემბერში სასანიტარო გადასახადი უკვე აკრეფილი იყო, დროებით შეჩერებული ზრდა სტერლინგის ღირებულების ხელ ახლად იწყებს ზრდას და ეს ზრდა არის სწრაფი. ოქტომბრიდან დეკემბრამდე სტერლინგის ფასი დიდ ნახტომს აკეთებს—165,0 პროცენტი 1921 წელს დეკემბერში შედარებით იმავე წლის ნოემბერთან სტერლინგის ფასის განსხვავება შეადგენს 96,1 პროც. 1921 წლის დამლევს ახალი მოვლენა აღორძინდა: საქართველოში შემოვიდა დიდძალი რაოდენობა რუსეთის საბჭოთა ფულების ნიშნების. საქართველოში ჩამოვიდა მრავალი ვაჭრები, დიდ ძალი ფულებით, იმ ფულებით იძენდენ საქონელს, რესპუბლიკის საზღვრებში დარჩა აუარებელი ქაღალდის ფულები, ნამდვილი ღირებულებანი-კი, საქონელი იმლენი არ იყო. აღსანიშნავი არის აგრეთვე ისიც, რომ რუსეთის საბჭოთა ფულები შემოჰქონდათ სრულიად უწესოთ, მოვიდა სხვა და სხვა ჯურის ხალხი. რესპუბლიკა აივსო ქაღალდის ფულის ნიშნებით—ფული გაიაფდა, სტერლინგის ფასი აიწია. იმ კარგ, საღ ზომამ, რომელიც სასანიტარო გადასახადის საშუალებით მიღებული იყო და თვალსაჩინო. გამოკეთდა ფულის ღირებულება, სრულიად გაქარწყლდა სტერლინგის ფასი, უსაშველოთ იზრდება და იმავე გზით ძირს მიდის საქართველოს რესპუბლიკის ფულის ნიშნების ღირებულება.

საყურადღებო არის კიდევ ერთი მოვლენა საქართველოს ფულის ნიშნების ღირებულების ცვლილებაში; უკვე აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთ თვეებში სტერლინგის ფასი ეცემა, ოდნავ გაუმჯობესდება ქართული ფულის ღირებულების მდგომარეობა, დროებითი გაუმჯობესების შემდეგ იწყება ისევ გაძვირება ფულის ნიშნების და ფულის ღირებულება აღარ უბრუნდება წინანდელ მდგომარეობას. სტერლინგის ფასი, ვთქვათ დაიწევს, მაგრამ შემდეგ, როდესაც ის აიწევს, ფასი წინანდელ საზღვარს აღარ უახლოვდება, ესე იგი სტერლინგის ფასი, მიუხედავათ დროებით გაუმჯობესებისა, მაინც იზრდება. სტერლინგის ფასის გადიდება, რესპუბლიკის ფულის ფასის ზრდა არის შეუჩერებელი. უცხო სახელმწიფოს ფულის ფასი მუდმივ იზრდება, დროებითი გაუმჯობესება ფასის ბოლოს და ბოლოს უმნიშვნელოდ რჩება, დროებით გაუმჯობესების შემდეგ კვლავ იწყება ფასების ზრდა. ეს არის უდიდესი შედეგი ჩვენი ფულის ტრიალის უკუღმართობის.

ფულის ღირებულების გაიაფება იწვევს ისეთ მოვლენას, რომელსაც ჩვენ უწოდებთ საქონლის გაძვირებას ანუ ცხოვრების გაძვირებას. მცირე არის ფულის ღირებულება, მის მიერ საქონლის შესყიდვის შესაძლებლობა, ძვირდება ცხოვრება. ეს საკითხი უნ და გამოვიკვლიოთ, ვიდრე ამას მოვახდენდეთ შევადაროთ საქონლის ფულის ღირებულება ფულის ღირებულებას ომიანობამდე.

მივიღოთ სტერლინგის ფასი ომიანობამდე ოქროს ანგარიშზედ 8 მანეთი და 50 კაპეიკი. სტერლინგის ღირებულება რუსეთის ფულზედ ამ რაოდენობის გარშემო ტრიალებდა. ანგარიშის გასაადვილებლათ მივიღოთ ეს ფასი. 1919 წლის დამლევს საქართველოს მანეთი გაიაფდა: 89,5-ჯერ, 1920 წლის დამლევს—2102,9-ჯერ. 1921 წლის დამლევს—100,955,8-ჯერ. ესე იგი 1921 წლის დამლევს საქართველოს მანეთის ღირებულება შეადგენს ერთ მეასიათასედს, ომიანობამდე საქართველოს მანეთის ღირებულება დაეცა დაახლოებით არა 1 | 100,000-დი, არამედ ცოტა ნაკლები. დღევანდელი ღირებულება ჩვენი მანეთის ომიანობამდე ყოფილი ღირებულების იქნება 1 | 80,000.—1 | 90,000-დე. საქართველოს მანეთის ღირებულება საშინლად დაეცა. რუსეთის მანეთის ღირებულება, მაგალითად 1921 წ. შემდგომად უდრის 1 | 90,000 ღირებულებისას, რომელიც მანეთს ქონდა.

ყველა უკვე აღნიშნული მოსაზრებათა და ცნობათა სრულიად უდავო დასკვნა შემდეგია: ფული გაიაფდა, ფულის გაიაფება საქართველოს რესპუბლიკაში საშინელია. ამ დებულებას ვერავინ ვერ უარყოფს, მის შედეგებს თითეული მოქალაქე ყოველ დღე, ყოველ ფეხის ნაბიჯზედ გრძნობს. მეორე ნაწილი ამ დებულებისა არის ის, რომ ფულების გაიაფებამ შექმნა ცხოვრების გაძვირება, ესე იგი იმავე საქონელში, რომელსაც ოქროზედ ან სტერლინგზედ ვიძენდით ომიანობამდე, გაცილებით მეტი რაოდენობა ფულის ნიშნების უნდა მივცეთ, ვიდრე ეხლა ვიძლევით.

გამოვიანგარიშოთ როგორ გაძვირდა ცხოვრება. ავიღოთ უმთავრესი მოთხოვნილების საგნები: ხორბალი, ხორცი, მარილი, ნავთი და მათი ფასების ცვლილება 1920—1922 წლებში; ფასები მანეთში არის ნაჩვენები ფუთზედ:

| სანოვაგის დასახელება. | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1920 წელი. (მანეთებში) | | | | | | | | | | | |
| ხორბალი ფუთი. | 400 | — | — | 900 | 950 | 1350 | 1591 | 1503 | 2200 | 2908 | 4321 | 4883 |
| ხორცი 1 გირვ. | 14.4 | 16.25 | 30.67 | 32.50 | 35 | 36 | — | — | 54 | 87 | 114 | 148 |
| მარილი 1 გირვ. | 4 53 | 6 | 7 | 7.12 | 8 | 12.33 | 13 | 13 | 28 75 | 36.50 | 46 | 48 40 |
| შაქარი 1 გირვ. | 35 | — | — | 75 | 75 | 73 | 95 | 165 | 258 | 244 | 399 | 725 |
| | 1921 წელი. (ათას მანეთებში) | | | | | | | | | | | |
| ხორბალი ფუთი. | 5.4 | 7.4 | 14 | 47.6 | 86 | 172 | 162 5 | 204 | 141.3 | 138 | 1664 | 200,6 |
| ხორცი 1 გირვ. | 0.187 | 0.341 | — | 1.4 | 4.5 | 8.5 | 9.2 | 9.6 | 8 5 | 6.9 | 7.4 | 7.8 |
| მარილი 1 გირვ. | 0.061 | 0.102 | 0.182 | 1.4 | 1.8 | 1.5 | 1.8 | 1.5 | 1.5 | 1.2 | 1.2 | 1.1 |
| შაქარი 1 გირვ. | 0.692 | 0.692 | — | 10.2 | 19.7 | 18.7 | 20.8 | 13.3 | 11 | 8.8 | 13 2 | 16 8 |

სურსათ სანოვაგის ზრდა 1920 და 1921 წელს ექვს გარეშეა, ზრდა შეუჩერებელი არის, ზოგიერთ თვეებში ეს ზრდა ჩერდება, შემდეგ ზრდა უკვე უწყება. საერთოდ ფასების უმთავრესი სურსათ სანოვაგის ფასების ზრდა ჩვეულებრივ მოვლენათ გარდაიქცა. პროცენტებით ეს ზრდა შემდეგია:

| სანოვაგის დასახელება. | 1920 წ. დეკემბერში იანვართან შედარებით. | 1921 წ. დეკემბერში იანვართან შედარებით. |
|---|---|---|
| ხორბალი | 1120,7 | 3612,9 |
| ხორცი | 997,2 | 3536,3 |
| მარილი | 968,4 | 1711,4 |
| შაქარი | 1971,4 | 2327,7 |

უმთავრესი მოთხოვნილების საგნები 1920 წ. და 1921 წ. ძლიერ გაძვირდა, გაძვირება უფრო დიდი არის 1921 წ., პური და ხორცი, მარილი 1921 წ. გაძვირდა სამჯერ 1920 წ. ფასებთან შედარებით, შედარებით ნაკლებ გაძვირდა შაქარი.

გამოვიანგარიშოთ რამდენჯერ გაძვირდა დასახელებული საქონელი 1920—21 წწ. და ომიანობის წინა წლებთან შედარებით და დაუპირდაპიროთ სტერლინგის გაძვირება და საქართველოს რესპუბლიკის ფულის ნიშნების გაიაფებას პროცენტებში:

| | სტერლინგის გაძვირება. | სანოვაგის გაძვირება. | |
|---|---|---|---|
| 1920 წ. | 1908,4 პროც. | ხორბალი | 1,120,7 |
| | | ხორცი | 997,2 |
| | | მარილი | 968,4 |
| | | შაქარი | 1971,4 |
| 1921 წ. | 4325,6 | ხორბალი | 3612,9 |
| | | ხორცი | 3536,3 |
| | | მარილი | 1711,4 |
| | | შაქარი | 2327,7 |

1921 წ. უფრო დიდი გაძვირებაა უცხოეთის ფულის და მთავარი მოთხოვნილების საგნების ვიდრე 1920 წ. თუ მივიღებთ უმთავრესი საგნების გაძვირებას, დავინახავთ შემდეგს:

1920 წ—ერთი წლის განმავლობაში ხორბალი გაძვირდა 12,2 ჯერ; ხორცი—10,4-ჯერ, მარილი—10,6-ჯერ; შაქარი—20,5-ჯერ; სტერლინგი გაძვირდა იმავე დროს 20-ჯერ.

1921 წ. ხორბალი გაძვირდა—37,1-ჯერ; ხორცი—41,7-ჯერ; მარილი—18,0; შაქარი—24,2-ჯერ სტერლინგი გაძვირდა 48-ჯერ.

დაპირდაპირება საქ. რესპ. ფულის ნიშნების და გაიაფების და მოთხოვნილების მთავარი საგნების გაძვირების გვიჩვენებს, რომ ეს ორი მოვლენა ერთნაირად არ მიმდინარეობს, ფულის გაიაფება უფრო დიდი არის, ვიდრე საქონლის. საქონლის გაძვირებაც შეუჩერებელი არის, ძლიერ გაიზარდა მათი ფასები სულ მოკლე ხანში 1920—1921 წლის განმავლობაში, მაგრამ ფულის გაძვირება მაინც გაცილებით მეტია, ეს ორი მოვლენა ერთი მეორეს არ უახლოვდება.

შევადაროთ ხორბალის ფასის ზრდა 1921 წ. იმ ფასებს, რომელიც იყო ომის წინ: ხორბალი გაძვირდა 76.192-ერ, ქართული ფულის ნიშნები გაიაფდა 100.955-ჯერ; ხორცის—33.333 ჯერ. მარილი—43.000-ჯერ; შაქარი—88,724.

მაშასადამე, ყველა აღნიშნული ანგარიშებიდან ცხადია ერთი უდავო დებულება: ფულების გაიაფებამ გამოიწვია საშინელი გაძვირება ცხოვრების. საქონლის ფასი რამდენიმე ათი ათასჯერ გაძვირდა. გაძვირება მოხდა ყველა პირველი მოთხოვნილების საგნების. იმავე დროს რესპუბლიკის ფულის ნიშნების გაიაფება და საქონლის გაძვირება თანაბრად არ ხდება, ფული უფრო მეტად იაფდება ვიდრე საქონელი ძვირდება. განსხვავება მათ შორის თვალსაჩინო არის. პურის გაძვირება უფრო უახლოვდება ფულის გაიაფებას, ვიდრე სხვა საქონლის.

დაპირდაპირება ფულის გაიაფების და საქონლის გაძვირების შემდეგს გვეუბნება: ფული უფრო იაფია, ვიდრე საქონელი. ბევრს გონია, რომ ფულის გაიაფებასა და საქონლის გაძვირების შორის პირდაპირი დამოკიდებულება არის. ხშირათ გამოთქმულა აზრი: რამდენათ გაიაფდება ფული, იმდენათ გაძვირდება საქონელი. ეს ასე არ არის. საქონელი უფრო ნაკლებ იკლებს ფასებში, ვიდრე ფულის ნიშნები, საუკეთესო მაჩვენებელი არის შაქრის ფასი. შაქარი არის უცხოეთის ნაწარმოები და განსაკუთრებით უცხოეთის ფულის ნიშნებზედ იყიდება. 1920 წ. საქართველოში შაქარი ერთი წლის განმავლობაში გაძვირდა 20,5 ჯერ, ფული 20 ჯერ გაიაფდა. 1921 წ. ფული გაძვირდა წლის განმავლობაში 48-ჯერ, შაქარი 24,2-ჯერ. 1921 წ. შედარებით ომის წინა წლებთან შაქარი 88.724-ჯერ გაძვირდა, ფული კი 100.955-ჯერ გაიაფდა.

საქონლის ფასების ცვლაში მრავალგვარი მიზეზები მოქმედებენ: საერთო მდგომარეობა ბაზრის, მიწოდების რაოდენობა, მეტოქეობის სიმწვავე და სხვა. თვით ხასიათი საქონლის, რამდენათ დიდი არის მისი მოხმარება. ეკონომიური კრიზისი, რომელიც აიძულებს მწარმოებელს აუცილებლად გაასაღოს ნაწარმოები მართალია, ფული გაიაფებული არის, მაგრამ სავაჭრო ურთიერთობაში მთელი რაოდენობა ფულის გაიაფების არ იხატება საქონლის ფასში. ფულის ღირებულება ძლიერ არის დაცემული, მაგრამ მისი შესყიდვის უნარი ცხოვრების ურთიერთობაში შედარებით მეტი არის. ამ შემთხვევაში მოქმედებს ერთი პირობა. ფული არის საქონელი, მართალია ქაღალდის ფული პირდაპირ არ შეიძლება გავსინჯოთ როგორც საქონელი, მაგრამ საქონლის ტრიალში არ გაისინჯება როგორც საქონელი. იმ ფულის რაოდენობიდან, რომელიც ტრიალებს, ნაწილი ფულის ნიშნებისა არ არის, არ იღებს მონაწილეობას საქონლის გაცვლა-გამოცვლაში. შენახულია სოფლად, დაკარგულია და სხვა. ფული ასრულებს, გარდა საქონლის შესყიდვის ვალდებულების, კიდევ სხვა დანიშნულებას: ფული მიიღება გადასახადებში, ხარჯში და სხვა სახელმწიფო საქმეებში. მაშასადამე, გამოყოფა ფულის მხოლოდ როგორც იარაღის საქონლის ტრიალისა, არ იქნება სწორი, უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვა დანიშნულებანი ფულის. ამას თუ ვიზამთ, მაშინ ცხადი იქნება, რატომ ფულის ღირებულების დაცემა და საქონლის გაძვირება პირდაპირ არ არის გამოხატული.

ჩვენ განგებ უყურადღებოთ დავტოვეთ ძირითადი საკითხი ფულის გაიაფების, იმ მიზეზების, რომელიც იწვევს ამ მოვლენას. როდესაც ვიცით როგორ დაეცა ფულის ღირებულება, როგორ გაიზარდა საქონლის ფასი, მაშინ უფრო ადვილი ხდება საბოლოოდ საკითხის გამოკვლევა და ყველა ზემო აღნიშნულ კითხვების განმარტება; უნდა გამოვიკვლიოთ დასაბამი, რა იწვევს ფულის ღირებულების საშინელ შემცირებას.

**ს. ავალიანი.**

# ქრონიკა

◆ **ქალაქის აღმასკომისაგან.** თბილისის ქალაქის აღმასკომი ამით აცხადებს, რომ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა თბილისში უკვე დამთავრებულია და აღწერილებისადმი მიცემული მანდატები ჩათვლილია გაუქმებულად.

◆ **სახალხო ბანკი.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს ს. ს. რ. სახალხო ბანკის ძირითადი თანხა გადიდებულია 100,000,000,000 მანეთამდე.

◆ **ტალახით ექიმობა.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოტერაპევტიულმა ინსტიტუტმა მიმართა თხოვნით დამზღვევი კასის გამგეობას მისცეს მას 50 მილიონი მანეთი ახტალიდან თბილისში სამკურნალო ტალახის ჩამოსატანათ და სხვა ხარჯებისათვის დამზღვევი კასის წევრთა სამკურნალოდ.

◆ **მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის კურსები.** 2 მაისიდან მიწადმოქმედების კომისარიატის თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურთან გაიხსნება თვენახევრიანი მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის კურსები 60 კაცისათვის. კურსებზე ჩაწერა წარჩინებით მიმდინარეობს. მეფუტკრეობის კურსებზე ჩაეწერა 30 კაცი და მეაბრეშუმეობის კურსებზე კი 18. ჩაეწერენ განსაკუთრებით თბილისელები და უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტები.

[illegible]

...ვადაში წარმოადგინონ წიგნაკები უშუალოთ კავშირის საორგანიზაციო განყოფილებაში (კავშირის ბინა, ოთახი № 48). ის პირები ვინც თავის დროზე არ წარმოადგენს წიგნაკებს გარიცხული იქნება წევრობიდან. წიგნაკები პერერეგისტრაციის ღნიშვნელად ჩაითვლება გაუქმებულად.

საორგ. განყოფილება.

## ჩვენი კურორტები!

ამ დღეებში ჯანმრთელობის კომისარიატში შედგა რამოდენიმე თათბირი მომავალ გაზაფხულზე კურორტების მოწყობის საქმის შესახებ.

კურორტების სეზონი გაიხსნება 15 ივნისიდან, გარდა შავიზღვის სანაპიროების კურორტებისა, ბათუმის „მწვანე კონცხი", მახინჯაური, ციხისძირი და ქობულეთისა, სადაც სეზონი გაიხსნება უფრო ადრე დაიხურება სეზონი: ბაკურიანში—15 სექტემბერს, ახტალაში—20 სექტემბერს,—პატარა და დიდ ცემში—20—25 სექტემბერს, აბასთუმანში, წაღვერში, ბორჯომში წყალტუბოში, კოჯორში და მანგლისში 1 ოქტომბერს.

ავათმყოფების შენახვა და ექიმობა, რომლებიც საჭიროებენ კლიმატიურ მკურნალობას ყველასათვის გამოუკლებლივ იქნება ფასიანი. პროფკავშირთა წევრებისათვის განზრახულია სანატორიუმებში 4000 საწოლი, ამასთანავე უპირატესობა მიეცემა ფიზიკურათ მომუშავეთ და მათ ბავშვებს.

დანარჩენ კურორტებში განზრახულია ავადმყოფების შემდეგნაირად განაწილების გეგმა: აბასთუმანის სანატორიუმში 300 ავადმყოფისათვის, მათგან 150 ადგილი ფასიანია 150 უფასო, და 200 ადგილი ისეთ ავადმყოფთათვის, რომლებიც საჭიროებენ მხოლოდ კლიმატიურ ექიმობას. ბორჯომში 100 ფასიანი სანატორიუმი და ამდენივე უფასო და 100 კლიმატიურთათვის. წაღვერში—50 სანატ. უფასო და 100 კლიმატიურთათვის. პატარა ცემში—50 სანატორ. უფასო ბავშვთა საწოლი. დიდ ცემში—25 საწოლი მხოლოდ რკინის გზელებისათვის, რომლებიც თვითონ აწყობენ კურორტს.

სურამში რკინისგზელები აწყობენ სანატორიუმში 25 სამკურნალო საწოლს. ამას გარდა აქ იქნება 60 კლიმატიური ავადმყოფები. ბაკურიანში—50 კლიმატიური ავადმყოფი.

კოჯორში იქნება 100 სანატორიუმის ფასიანი საბავშო საწოლები და 100 კლიმატიური. მანგლისში—100 სანატორიუმის ფასიანი და 150 კლიმატიური საწოლები. ახტალაში—50 საწოლი სანატორიული კლიმატიურ ნიადაგზე. ქობულეთში—50 ფასიანი სანატორიული და 100 კლიმატიური ციხისძირში და „მწვანე კონცხში"—50 კლიმატიური. ბათუმში—50 ზღვის ვანა. სულ 400 უფასო სანატორიული საწოლები, 500 ფასიანი და 1.150 კლიმატიური.

უკვე შემოდის თხოვნები უფასო სანატორიულ საწოლების მიცემაზე. სამოგზავრო საშუალება კურორტამდე ავადმყოფის ხარჯზე. ხოლო კურორტზე—კურორტის ხარჯზე.

## ლადო კეცხოველის და ზ. ჩოდრიშვილის ხსოვნას

[illegible] ...ცემა მინდობილი აქვს პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას.

ვთხოვთ იმათ, ვისაც რაიმე მასალები მოეძებნებათ ლადო კეცხოველის შესახებ. მიაწვდინონ პოლიტგანათლებაში. ამხ **სანდრო ქურიძეს.**

## მაზრებში ცეკას მიერ დაგზავნილ პასუხისმგებელ ამხ. მოხსენებებიდან

**ოზურგეთის მაზრა.**

[illegible] ...ხებს. მოხსენების შემდეგ მიტინგის მიერ ერთხმათ იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა ამხ. ნუცუბიძის მოხსენება მომენტის და თესვის კომპანიის შესახებ, ოზურგეთის მრავალ რიცხოვანი მიტინგი ერთხმათ აღიარებს, რომ მშრომელთა გზა, მოქმედების და ლოზუნგები, სავსებით შეეფერება მომენტს. მხარს უჭერს ძლევამოსილი პროლეტარიატის თავგამოდებულ ბრძოლას, რომელიც მიმართულია მყვლეფელი კლასის წინაამდეგ, კაპიტალიზმის მოსპობის და კომუნიზმის დამყარებისათვის. მიტინგი გმობს იმ მოღალატე პარტიების მუხანათურ მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ მშრომელი ხალხის თავზე ხელ ახალი უბედურების დატეხას, რითაც ხელს უშლიან საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან აღმშენებლობას.

ფიცს ვსდებთ, რომ მხურვალე მონაწილეობას მივიღებთ თესვის კომპანიის ჩატარებაში და ყოველგვარ დახმარებას გაუწევთ სათანადო ორგანოებს მომავალი სიმშილის აჩრდილის თავიდან ასაცდენათ.

**გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას და მშრომელი ხალხის მშვიდობიან აღმშენებლობას.**

**ძირს მშვიდობიანობის დამრღვევნი!**

მეორე მიტინგი გაიმართა 2 აპრილს ბახვის თემში, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ: ამხ. ნუცუბიძე, ამხ. ბაიკოვი წითელი კურსანტების წარმომადგენელი და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ანდრო დოლიძე. მიტინგს დაესწრო აუარებელი ხალხი, მიტინგი ყურადღებით უსმენდა ორატორებს.

მოხსენებების შემდეგ ამხ. ანდრო დოლიძის მიერ შემოტანილ იქმნა რეზოლიუცია მიღებული ოზურგეთის საჯარო მიტინგის მიერ, რომელიც ბახვის საჯარო მიტინგმაც ერთხმად მიიღო, რის შემდეგ კურსანტების ორკესტრმა, რამოდენიმეჯერ შეასრულა „ინტერნაციონალი".

ამავე დროს ბახვში შესდგა გაერთიანებული სხდომა ადგილობრივ აღმასკომის წევრთა და პარტიულ ამხანაგების, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. ნუცუბიძემ სხდომამ ყურადღებით მოისმინა მოხსენება, აზრთა გაცვლა გამოცვლისა და სხვა და სხვა შეკითხვების შემდეგ გამოიტანა რეზოლიუცია: გაერთიანებული სხდომა იწონებს ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს და უდებს მას მომავალ მუშაობას საფუძვლათ.

# პარტიული ცხოვრება

### მე-4 რაიკომში.

აპრილის დასაწყისიდან მე 4 რაიონის წარმოებებში მუშების საერთო კრებები იმართებოდნენ ხშირად და სისტემატიურად. რაიკომმა გააკეთა მომხსენებლების დახვრეტის შესახებ 10 წლის თავის გამო რაიონის თითქმის ყველა წარმოებებში. სულ შესდგა 12 კრება; დამსწრე მუშების საერთო რიცხვი აღწევდა ორი ათას კაცს.

ხშირად ლენის ამბების მოხსენებებთან ერთად აყენებდნენ საკითხს ბერლინის 3 ინტერნაციონალის კონფერენციის შედეგების შესახებ.

მუშები ძალიან დაინტერესებულნი არიან გენუას კონფერენციის მუშაობის მსვლელობით, იძლევიან კითხვებს მის შესახებ, ნიშნავენ კრებებს და ითხოვენ მომხსენებლების გამოგზავნას. ამ უკანასკნელ ხანებში არც ერთი მოხსენება არ ყოფილა მოსმენილი ასეთი ყურადღებით და არც ერთ საკითხს არ გამოუწვევია ისეთი გაცხოველებული გამოხმაურება, როგორც საკითხს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. რაიონის ყველაზე მსხვილი წარმოებები, როგორიც არიან ფაბრიკები ბოზარჯიანცის, საფაროვის, ქარხანა „ტევზა", ცეცხლის მქრობელი რაზმი, აწყობენ კრებებს თითქმის ყოველ კვირაში. რაიონის ძალებით სამი უკანასკნელი კვირის განმავლობაში ჩატარებულა 30 კრებაზე მეტი.

### რ. კ. პ. კავბიუროს

იდუევანის მაზრის მუსულმანთა პირველი უპარტიო კონფერენცია უგზავნის მხურვალე სალამს ამიერკავკასიის თქვენ პარტიულ ორგანოს სრული რწმენით, რომ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ნაყოფიერი მუშაობა გაგრძელდება ამიერ-კავკასიის მშრომელთა საკეთილდღეოდ დ მისი მტრების სავალალოდ პირველთა გაერთიანებით და უკანასკნელების საბოლოო მოსპობით. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სახით კონფერენცია ხედავს ერთად ერთ ნამდვილ დამცველს მშრომელი მასების ინტერესებისას და სწამს, რომ მხოლოდ მშრომელთა სისხლით შეღებილ კომუნიზმის წითელ დროშაზე აწერია ჭეშმარიტი ლოზუნგები ჩაგრულ მონების განთავისუფლებისა.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს!

პრეზიდიუმი.

# პროვინციაში

**ქ ხაშური.** ხუთშაბათს, 20 აპრ. მუშათა კლუბში, რაიპარტკომის ინიციატივით მოწვეულ იქმნა ხაშურის რკინის-გზის და ქალაქის მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრება-მიტინგი, რომელსაც დაესწრო 500 კაცზე მეტი. პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. მაისურაძემ მიმდინარე მომენტზე.

მომხსენებელმა საერთოდ დაახასიათა პირველ რიგში შინაგანი მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საბჭოთა ფედერაციებში სრული მშვიდობიანობა სუფევს და შინაური კონტრევოლიუციის ჩაქრობა არ ეძნელება საბჭოთა ხელისუფლებას.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებაზე და შეეხო უპირველესად სამ ინტერნაციონალის ბერლინის თათბირს და მომხდარ შეთანხმებას. შემდეგ შეეხო გენუის კონფერენციას და გააშუქა, როგორც ბურჟუაზიული მთავრობების განზრახვები, ისე საბჭოთა ფედერაციის მიზნები ამ კონფერენციაზე.

დასასრულ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ ხაშურის სადგურ-ქალაქის მუშა მოსამსახურეთა კრებამ, მოვისმინეთ რა მოხსენება მომენტზე, მხარს უჭერთ არსებულ წეს წყობილებას და ვსდებთ პატიოსან ფიცს, რომ ვეცლით ხელი ხელ ჩაკიდებული მთავრობასთან ერთად და პატიოსნად შევასრულებთ ყოველივე განკარგულებას მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ასაყვავებლად და დასაცავად.

საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციას გენუაში უძღვნით პროლეტარულ სალამს და უსურვებთ მტკიცედ დაიცვან მშრომელი ხალხის ინტერესები, დე იცოდენ, რომ ჩვენ ხაშურის მუშები, სხვებთაც ერთად მზად ვართ პირველ გამოძახილზე, როგორც ერთი კაცი ჩავებათ ბრძოლაში მუშათა კლასის გასამარჯვებლად.

ზიზღს უცხადებთ პროვოკატორებს და იმ პირთ, რომელნიც სოციალისტების ქურქში გამოხვეულნი ლამობენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. მოუწოდებთ პატიოსან მშრომელ მოქალაქეთ ასეთი პირების ასალაგმავათ იხმარონ ყოველივე ღონისძიება.

ძირს მოღალატენი!!

გაუმარჯოს მე-3 კომინტერნს!!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!!

გაუმარჯოს საბჭოთა დელეგაციას გენუაში!!

შემდეგ პატარა მოხსენება გააკეთა ექიმ წერეთელმა ჰიგიენის შესახებ და სხვა და სხვა ეპიდემიებთან ბრძოლის საშუალებებზე.

ი. ჯ.

# პირველი მაისისათვის

**ბრძანება**

**სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის მიმართ № 159.**

ქ. ტფილისი, 23 აპრილი 1922 წ.

ვაცხადებ რა ამასთანავე მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარში და წითელ ფლოტში შესასვლელ საზეიმო აღთქმის ფორმულას, მშრომელი ხალხი საქართველოსა, მუშურ-გლეხური მისი მთავრობა და მე დარწმუნებული ვართ, რომ აღთქმის დიადი სიტყვები სამარადისოთ აღიბეჭდება საქართველოს წითელი ლაშქრის ყოველ მეომრისის თანამშრომლის და წითელ არმიელის გონება-მეხსიერებაში და შეიქმნება თავმდები სულიერ სიმტკიცე სიძლიერისა გარდამწყვეტ ბრძოლაში კაპიტალიზმის მონობისაგან ჩაგრულთა და მშრომელთა საბოლოო გასანთავისუფლებლად.

**ვბრძანებ:** სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებების, ნაწილების და ერთეულობის უფროსებმა ყველა წითელ არმიელთ და თანამშრომელთ წითელი ფიცი დაადებინონ მშრომელთა ინტერნაციონალურ სოლიდარობის სადემონსტრაციო დღეს, ა | წ. პირველ მაისს, დადგენილ ცერემონიალის საერთო წესთან შეთანხმებით.

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **კუზნეცოვი.**

შტაბის უფროსი, გენშტაბისა **გედევანიშვილი.**

(პოლიტსამდივნოს დარგით)

**საზეიმო აღთქმის ფორმულა მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარში შესვლისას.**

1. მე, შვილი მშრომელი ხალხისა, მოქალაქე საბჭოთა რესპუბლიკის, ვიღებ სახელწოდებას მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქრის მეომარისა.

2. საბჭოთა რესპუბლიკების და მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე მე ვალდებული ვარ ვატარო ეს სახელი პატიოსნად, კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო ხელოვნება და, ვითარცა თვალის ჩინს უპატრონო და შევინახო სახალხო და სამხედრო ქონება ზიან-გაფლანგვისაგან.

3. მე ვვალდებულებ რევოლიუციონურ დისციპლინის სწორუცვლელ დაცვას და მუშურ გლეხურ მთავრობის მიერ დანიშნულ უფროსების ბრძანებათა განურდებელ აღსრულებას.

4. მე ვვალდებულებ თავი შევიკავო და ავარიდო ამხანაგების ყოველგვარ საქციელს, რომელიც სცემს ღირსებას საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქისა და მთელი ჩემი არსებით, აზრით და მოქმედებით ვემსახურო მშრომელთა განთავისუფლების დიად მიზანს.

5. მე ვალდებული ვარ მუშურ გლეხურ მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე გამოვიდე საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის სადარაჯოზე ყოველგვარ განზრახვისა საწინააღმდეგოთ მის მტერთა მხრივ და მედგარ ბრძოლაში საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, სოციალიზმის და ხალხთა ძმობა-ერთობისათვის არ დავზოგო არც ძალა-უნარი ჩემი და არცა თვით სიცოცხლე.

6. და თუ ბოროტ განზრახვით განუდგები ამ ჩემს საზეიმო აღთქმას, დეე, წაშინ ხვედრი ჩემი შეიქმნეს ზიზღი ყოველთა მხრივ და დეე დავისაჯო მე მაშინ რევოლიუციონურ კანონის სამართლიან და მკაცრ ხელით.

პოლიტსამდივნოს მდივანი

**დანელია.**

### განცხადება

ა | წლის 28 აპრილს არტილერიის მოედანზე ქ. ტფილისის 1 სამხედრო ცენტრის (შევარდენის ეზოში). შევარდენის ქ. № 4 დანიშნულია გამოცდა ყველა წვევამდელების, რომლებიც არიან დაბადებულნი 1901-2 3-4 5 წლებში 1 მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. ყველა სახლების ზედამხედველებს ეძლევათ წინადადება თავიანთ პასუხის მგებლობის ქვეშ აიძულონ, რათა ზემოაღნიშნულ წლებში დაბადებულნი გამოცხადდენ ანიშნულებისამებრ: დამრღვევნი ამა ბრძანებისა იქნებიან სასტიკათ დასჯილი, გამოცდის დროს იქნება წარმოთქმული სიტყვები საყოველთაო სამხედრო სწავლის შესახებ.

ქ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარი: **კოზიძე.**

მაზრის საყოველთაო სამხედრო სწავლის უფროსი: **ებრალიძე.**

25 აპრილი 1922 წ. ქ. თბილისი.


**სარედაქციო კოლეგია**

## გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

თბილისის გაზეთებზე ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, რომ გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი მაისისათვის უნდა შემოტანილ იქნას არა უგვიანეს 30 აპრილისა. ვინც ამ ვადამდე ფულს არ შემოიტანს 1 მაისიდან გაზეთები არ გაეგზავნება.

**ხელის მოწერის ფასი მაისისთვის შემდეგია:**

**„პრავდა გრუზიი", „კომუნისტი", „კარმირ ახტლ"**, პარტიულ ორგანიზაციებისათვის და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში 140,000 მ., პროვინციაში 180,000 მან.

ყველა დანარჩენ დაწესებულებებისათვის და კერძო პირთათვის ქალაქში მიტანით 200,000 მან. პროვინციაში—240,000 მან.

„მიწის მუშა" (ქართულად), „ახალი აზრი" (თურქულად), „საქართველოს ეკონომიური ცხოვრება" (რუსულად):

ეღირება თვიურად: ქალაქში 80,000 მ. პროვინციაში 100,000 მან.

ცალკე გასაყიდათ: 10,000 მან. ეკზემპლიარი, პროვინციაში 12,000 მ.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:** გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 24). **ქუთაისში:** გაზეთის ტრესტის განყოფილებაში (წერეთელთან). **ბათომში:** „ბატგიზო"-ში.

**გაზეთებისთვის განცხადებები მიიღება**

**ტფილისში:** ტრესტის მთავარ კანტორაში, სახელმწიფო გამომცემლობის ცნობების და სარეკლამო ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. №5) და ტრესტის მთავარ კანტორის მიერ მოწმობებით აღჭურვილ აგენტების საშუალებით.

**განცხადებების ნიხრი**

15,000 მან. პეტიტის სტრიქონი ან მის მიერ დაჭერილი ადგილი.

ხშირი განცხადებისათვის შეღავათი. სამგლოვიარო განცხადება: 300,000 მანეთი. პარტიული და საბჭოთა დაწესებულებებისათვის, დანარჩენთათვის 500,000 მანეთი ერთ ჯერ.

## რესპუბლიკის საარქივო საქმეთა მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ თანახმად განათლების კომისარიატის ნებართვისა № 1279, 29 ამა აპრილს, დილის 11 საათზე, მთავარ სამმართველოს ბინაზე—ლენინის ქ. (ივიჲ ოლღას ქ.) № 48, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, განუმეორებლად, უვარგისი საარქივო ქაღალდის გასაყიდად რაოდენობით 800 ფუთისა ანუ რამდენიც აღმოჩნდება.

ვინც მოისურვებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, იმან, ვაჭრობის დაწყებამდე, უნდა შემოიტანოს არზა, 5000 მან. მარკით დაზეგრილი და 10 პროც საწინდარი იმ ჯამისა, საიდანაც დაიწყება ვაჭრობა გასასყიდლად განზრახული ქაღალდისა.

ქაღალდის გასინჯვა შეიძლება პარასკევს, 28 აპრილს, 10—12 საათ. ველიამინოვის ქ., № 12, სარდაფში.

(1—1)

## შაბიამანი

საუკეთესო ხარისხისა იყიდება

ქიმიურ ქარხანაში „ატომი"

ელისაბედის ქუჩა № 204

(1—1)

## საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტისაგან

საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შენობაში. (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობა) ტელ. № 15—46.

(6—4)

## მხატვრული კოლექტივი „ხიფი"

არსებული ს. ს. ს. რ. პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოსთან, პუშკინის პასაჟი. ტელ. 8—04.

პირველი მაისის დღესასწაულისათვის

ღებულობს დაკვეთას

შენობების დეკორაციულად მოსაწყობად

ყვავილების გრეხილები — პორტრეტები

ილლიუმინაცია — პლაკატები

ტრანსპარანტები — პანნო

სასწრაფო დამზადება მხატვრული დროშების

სახელმწიფო და სამხედრო დაწესებულებებს ფას დაკლებით.

(3—2)